

ლელია შალვაშვილი

## ქართული ენის სახელმძღვანელოები ძველი ქართული ანბანისა და ხმარებიდან გამოსული გრაფემების შესახებ

ორიგინალობით აღბეჭდილი თვითმყოფადი ქართული ანბანი განუწყვეტლივ ვითარდებოდა; იგი სულ უფრო იხვეწებოდა თავისი 1500-წლოვანი ისტორიის მანძილზე: იცვლებოდა როგორც ასოთა მოხაზულობა, ისე მისი შედგენილობაც.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში 33 ასო-ბგერაა, ძველში მეტი იყო — 38.

XI საუკუნიდან მოკიდებული, ენიდან და ანბანიდანაც თანდათან გაქრა ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი **ჟ** — **ე** მერვე, **ღ** — იოტა, **ვ** — ვიე, **ჭ** — ჯარი, **შ** — ჰოე (ა. შანიძის დასახელებით: ჰე, ღე, ჟიე, ჯარ, ოჰ/ჰოე<sup>1</sup>) ბგერები და სათანადო გრაფემებიც.

ქართული ენის ბგერითს სისტემასა და ანბანში მიმდინარე ცვლილებების ხანგრძლივი ბუნებრივი პროცესი ორთოგრაფიული რეფორმით დამთავრდა: დიდი ილიას თანამიმდევრული თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან სალიტერატურო ქართული საბოლოოდ გათავისუფლდა ე. წ. ზედმეტი ასოებისაგან, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ დროისაგან უკუვადებული ძველქართული ანბანი სამუდამოდ უნდა გაგვეწირა დასავიწყებლად. — ქართული დამწერლობის ჯეროვანი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნული კულტურის რიგი საკითხის გადაწყვეტა, ამიტომ აუცილებელია მისი ჩა-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 11-12, 15; ხმარებიდან გასული ასოების სახელები განსხვავებულია სხვა ავტორებთანაც (ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ზ. ჭუმბურიძე, ზ. სარჯველაძე...).

ღრმავებული შესწავლა, მით უმეტეს ახლა, როცა რელიგიისა და კულტურის პრობლემათა კვლევას დაწყებითს სკოლაშივე ეყრება საფუძველი.

ძველი ქართული გრაფემების საკითხს გარკვეული ადგილი ეთმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

იაკობ გოგებაშვილს — „დედა ენის“ შემოქმედს, ილიას თანამებრძოლსა და თანამზრახველს — მიუჩნევია, რომ ქართული ანბანის შედგენილობისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ პირველი მარტივი ცნობები საანბანო პერიოდშივე უნდა მიეწოდოს აღსაზრდელს.

„დედა ენის“ I ნაწილში ანბანის ბოლო ჰაე ასო-ბგერის გაცვეთილის შემდგომ სათაურით „სრული ანბანი რიგზედ“ მსხვილი შრიფტით არის აწყობილი ახალი ქართულის 33 ასო-ბგერა ტრადიციული მიმდევრობით. ამ შემაჯამებელ საანბანო გაკვეთილს ახლავს შენიშვნა:

„ამ ასოებს გარდა ძველს ქართულს წიგნებში და ზოგიერთს ახლებშიაც იხმარება შემდეგი მომატებული ასოები: ჴ გამოითქმის როგორც ჴე, ჵ — ჴი, ჶ — ვი, ჷ — ხი, ჸ — ჴო“<sup>1</sup>.

ანბანის შემდეგ საკითხავი „დედა ენის“ II ნაწილში „სასულიერო-ზნეობრივი განყოფილების“ ბოლოს ავტორი საგანგებოდ ჩერდება ხუცურ ანბანზე; ცალ-ცალკე ჩამოწერილ მრგლოვანსა და ნუსხურ ვარიანტებს მოსდევს ნუსხურით (პარალელურად კი მხედრულთ) დაბეჭდილი ლოცვები, სადაც ჩვეულებისამებრ ასომთავრულიცაა გამოყენებული (სათაურში, აბზაცისა და ზოგი სიტყვის დასაწყისში)<sup>2</sup>.

ნათელია, რომ დიდი მოძღვარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ანბანის ძველ სახეობათა ცოდნას; თვლიდა, რომ ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გაუფარჯიშდეს თვალი და გულისყური ხუცურით შესრულებული წიგნისა თუ წარწერის წასაკითხად.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ (ავტორის ხელიდან გამოსული 1912 წლის გამოცემებით) ხელმძღვანელობენ დღეს ძირითადად დაწყებითს კლასებში გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების ქართული სკოლები, სადაც შესაბამისი ტაბულის მიხედვით საანბანო პერიოდშივე მიაქცევენ მოსწავლის ყურადღებას

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, დედა ენა, პირველი ნაწილი, 1912, გვ. 30.

<sup>2</sup> ი. გოგებაშვილი, დედა ენა, მეორე ნაწილი, 1912, გვ. 260-265.

ქართული ანბანის ძველ სახეობებზე (მრგლოვანსა თუ ნუსხურ-ზე). შემდეგ კი სათანადო ტექსტებსაც აკვირდებიან.

ზოგადასაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ხმარებიდან გასული ასო-ბგერების შესახებ პირველი ინფორმაცია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების სწავლებას უკავშირდებოდა ათწლეულების მანძილზე.

1934 წელს გამოიცა ა. შანიძის, ალ. ბარამიძისა და ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (სასკოლო სახელმძღვანელო IX კლასისათვის), რომლის ქრესტომათიული ნაწილი იწყება ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებით.

ძველქართული ძეგლების შესწავლა-გაცნობიერება მოითხოვდა ძველი ქართული ენის, ანბანისა და ხმარებიდან გასული ასოების შესახებ გარკვეულ ცოდნას. ამიტომ ქრესტომათიას დაერთო ა. შანიძის „ძველი ქართული ენა“ (მოკლე მიმოხილვა)<sup>1</sup>. ეს წიგნი კარგა ხანს იყო საშუალო სკოლის ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, შემდეგ პროგრამიდან და წიგნიდანაც ამოიღეს „ძველი ქართული ენა“ და, რაკი იგი 1956 წლიდან მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოდ დარჩა, ძველქართული ტექსტის ენობრივი კომენტარი მასწავლებელს, მის ზეპირ სიტყვას დაეკისრა.

უკანასკნელ, 70-იანი წლებიდან ისევ გაცოცხლდა აზრი საშუალო სკოლაში ძველი ქართული ენის საკითხების პროგრამასა და სახელმძღვანელოში შეტანის შესახებ<sup>2</sup>. ამჟამად მოქმედი 1990 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის V-XI კლასების პროგრამით გათვალისწინებულია ძველი ქართული ენის 14-საათიანი კურსის გავლა IX კლასში, ანბანის შესახებ ცნობების ძველი ქართულის მონაცემებით გამდიდრება კი — V კლასშიც. ისე რომ, ანბანის საკითხების სწავლება ამ პროგრამაში წარმოდგენი-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 01-038.

<sup>2</sup> იხ. რეაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X კლასები), 1973-1974 სასწავლო წლისათვის, 1973. ამ პროგრამაში ჭერ კიდევ არ არის გამოყოფილი ძველი ქართული ენის საკითხები, თუმცა განმარტებითს ბარათში ნათქვამია, რომ „VIII კლასის ქართული ენის კურსი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ახალი ქართული ენის სინტაქსის საკითხები და ძველი ქართული ენის გლემენტები“, გვ. 8. იქვე მითითებულია, რომ ძველი ქართულის საკითხები ტექსტზე მუშაობას უნდა დაუკავშირდეს, ხოლო ზოგ საკითხს თვეში 1-2 საგაკვეთილო საათიც შეიძლება დაეთმოს, გვ. 10.

1980 წელს გამოვიდა ქართული ენის პროგრამის პროექტი რეაწლიანი და საშუალო სკოლების IV-VIII კლასებისათვის. მასში ცალკეა წარმოდგენილი ძველი ქართული ენის საკითხები (14-საათიანი კურსი). ასეა სათანადო პროგრამაშიც; იხ. რეაწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები: ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X კლასები) 1984/85 სასწავლო წლისათვის, 1984, გვ. 39.

ლია ორი კონცენტრად — V და IX კლასებში.

V კლასის ფონეტიკისა და გრაფიკის პროგრამაში შესულია: „ბგერის რაობა. ბგერათა რაოდენობა ძველსა და ახალ ქართულში. ანბანი (მრგლოვანი და მხედრული). ძველი დამწერლობის ნიმუშების გაცნობა. ხმარებიდან გასული ასოები. დ და ჯ ბგერები ძველ ქართულში, სვანურსა და ქართული ენის ზოგიერთ კილოში. ასოთა სახელები და რიგი“<sup>1</sup>.

IX კლასის საპროგრამო საკითხებია:

„ქართული ენის უძველესი ძეგლები (წარწერები, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები).

ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა: ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული). ქართული შრიფტების პარალელური ხმარება.

ძველი ქართული ანბანის (მრგლოვანის) შესწავლა: დ, ჯ, ჰ, მ, ც და მათი შესატყვისი ბგერები. დ და ჯ ბგერები ძველ ქართულში, სვანურში, ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. რიცხვების გამოხატვა ასოებით“<sup>2</sup>.

რამდენიმე წელია, საშუალო სკოლის X-XI კლასებისთვისაც შემუშავდა ქართული ენის სწავლების პროგრამა. ძველი ქართული ენის ფონეტიკის საკითხები არც აქ არის დაევიწყებული; X კლასის საგაკვეთილო თემებია:

„ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები. ქართული ენის ბგერითი შედგენილობა. დ და ჯ ბგერები ძველ ქართულსა და დიალექტებში. ც, ჰ, მ და მათი წარმოთქმა. ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა. ძველი ქართული წელთაღრიცხვა“<sup>3</sup>.

ანბანის ამ საკითხების შესაბამისი მასალა რამდენიმე ბარაგრაფად „ძველი ქართული ენის მოკლე მიმოხილვის“ თავშია შეტანილი IX კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში<sup>4</sup>; ქართული დამწერლობის შესახებ ვრცელი ცნობებია X კლასის ქართული ენის წიგნი<sup>5</sup>, V კლასის სახელმძღვანელოში კი 1998 წლამდე ვერ აისახა ეს პროგრამული სიახლე. ამის გამო უცნაუ-

<sup>1</sup> ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა (V-XI კლასები), 1990. „მრგლოვანის“ ნაცვლად „მრგლოვანი“ აქ კორექტურული შეცდომაა (გვ. 18).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>3</sup> ქართული ენის პროგრამა X-XI კლასებისათვის, 1991, გვ. 3.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასი, 1986, გვ. 67-74. ამ სახელმძღვანელოს შემდგომი გამოცემები (II, 1988; III, 1990; IV, 1992) IX კლასისთვისაა განკუთვნილი (II-წლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით).

<sup>5</sup> ზ. ჭუმბურიძე, რ. ვაბეჩავა, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, 1997, § 8, გვ. 36-45.

რად გამოჩნდა 1997 წელს დაბეჭდილ VI კლასის „ქართულ ენაში“ წინა წელს გავლილი მასალის ამგვარი შეხსენება:

„მე-5 კლასში თქვენ გაცნაობთ ქართული დაწერილობის სახეებს (საფეხურებს), შეისწავლეთ 33 მრგლოვანი ასოს წერა. რომ არ დაგავიწყდეთ, მოსაგონებლად წარმოდგენილია იმ ასოთა ნიმუშები მხედრულის შესატყვისებით“.

ამას მოსდევდა მრგლოვანი ანბანი მხედრულითურთ და სათანადო დავალებები<sup>1</sup>.

VI კლასისთვის დაგეგმილი გამეორების ეს გაკვეთილი იმის საწინდარი იყო, რომ მომდევნო წლიდან პროგრამის კვალობაზე შეივსებოდა V კლასის სახელმძღვანელოს ფონეტიკა-გრაფიკის თავი და, მასადაამე, სიტყვა შეეხებოდა ანბანის ძველ სახეობებსაც, პირველ რიგში — მრგლოვანს. ასეც მოხდა. ძველქართული ანბანის შესახებ ზომიერად და ნათლად ითქვა V კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში, უფრო მეტიც, სკოლას მიზნად დაესახა მოსწავლის მრგლოვანის ცოდნით გამდიდრება და ეს დიდი მისია დაეკისრა არა მხოლოდ V კლასის, არამედ V-IX კლასების — ყველა სახელმძღვანელოს.

შეეჩერდეთ თითოეულ მათგანზე.

V კლასის ქართული ენის ახალ სახელმძღვანელოში ანბანის (53-ე) პარაგრაფი შეივსო ცნობით, რომ ქართული ანბანი თანდათანობით ცვლილებებს განიცდიდა საუკუნეების მანძილზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სამი სახის დამწერლობა: მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი (V-IX სს), ნ უ ს ხ უ რ ი — კუთხოვანი (IX-XI სს), მ ხ ე რ უ ლ ი (XI ს). სათანადო ტაბულაზე მოსწავლეს დააკვირდება ანბანის სამივე სახეობას, ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს, ხმარებიდან გასულსა და თითქმის უცვლელადვე შემორჩენილ ასოებს.

წიგნი გვმოდვრავს, რომ „ყოველმა განათლებულმა ქართველმა მხედრულთან ერთად უნდა იცოდეს ძველი ქართული ანბანით წერა და კითხვა“. იქვე დაბეჭდილია მრგლოვანი ხმარებიდან გასული ასოების გარეშე, მხედრული შესატყვისებით. სავარჯიშო ითხოვს ანბანის რიგზე გაწყობილი სიტყვების რამდენ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VI კლასის სახელმძღვანელო, 1997, გვ. 9. შდრ. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, V კლასის სახელმძღვანელო, 1997.

ჯერმე წაკითხვასა და გადაწერას (მრგლოვანი მთავრულებადაა გამოყენებული).

ეს ერთადერთი დავალებაა, რომელიც ბავშვს კალმითაც აზიარებს ძველი ანბანის საიდუმლოს, სხვა დავალებები მხოლოდ კითხვაში გაწაფვას ემსახურება: მრგლოვანით შესრულებული კლასიკოსთა მცირე პოეტური ტექსტები თუ მრგლოვანის მთავრულებად ხმარების შემთხვევები (სიტყვის, ფრაზის, სალექსო სტრიქონის დასაწყისში) მხოლოდ უნდა იცნოს, ამოიკითხოს და თვალთ დაიმახსოვროს მოსწავლემ.

ქართული ანბანის სამყაროში შესვლას ემსახურება V კლასის წიგნში ორ ათეულამდე სავარჯიშო, დავალება, ტაბულა და საგაკვეთილო პარაგრაფი. კითხვაში კარგად გაწაფული ბავშვი, ალბათ, თვითონვე შეეცდება მრგლოვანით წერას, მაგრამ სახელმძღვანელოს ავტორი ფრთხილობს, მის წერას არ ავალებს. — ჯერ კითხვაში უნდა აიღვან ფეზი და ნელ-ნელა ტემპიც შეიძინონ. ესაა მთავარი. ამიტომ მრგლოვანის კითხვაში ვარჯიში გრძელდება VI-VIII კლასებშიც.

VI კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მრგლოვანზე. V კლასში შესწავლილი მასალის განმეორების პირველივე გაკვეთილებში, კერძოდ, პირდაპირი ნათქვამის დიალოგური ფორმის კარგა მოზრდილ ნიმუშებში მთავრულებია გამოყენებული ფრაზის დასაწყისში. მერმე წიგნი შეახსენებს მოსწავლეებს V კლასში შესწავლილ ცნობებს ძველქართული ანბანის შესახებ. მრგლოვან-მხედრულ ანბანს მოსდევს დავალებები:

1. წაკითხონ და დაიმახსოვრონ მრგლოვანით შესრულებული შოთა რუსთაველის აფორიზმები;

2. შეარჩიონ რომელიმე მოზრდილი ნაწარმოები და სასწავლო წლის ბოლომდე გადაიწერონ მრგლოვანი ასოებით.

ვრცელი ტექსტის გადაწერა მეექვსეკლასელისაგან ითხოვს სისტემატურ მუშაობას. ამ თითქმის ყოველდღიური დავალების გარდა, სახელმძღვანელო ხშირად სთავაზობს მოსწავლეს, დააკვირდეს და ამოიცნოს მთავრულებით დაწერილი ნიმუშები; წაკითხოს, დაიმახსოვროს და გადაიწეროს მრგლოვანით შესრულებული მოკლე ტექსტები (იხ. გვ. 8, 9, 18, 38, 54, 63, 80, 94); დიახ, უნდა გადაიწეროს კიდევ დავალებები, რომ ასოების გამოყვანაშიც გავარჯიშდეს ხელი, რომ მრგლოვანი ნელ-

ნელა წარუშლელად შთაებეჭდოს გულსაც და გონებასაც.

VII კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო ზმნის ურთულეს კურსთან ერთად ავალდებულებს მოსწავლეს, — გაიღრმავოს და განიმტკიცოს მრგლოვანის ცოდნა. განმეორების მე-3 გაკვეთილის ბოლოს წიგნი მიუთითებს ანბანის ზეპირად ცოდნის სიკეთეზე და მის დასასწავლად გამიზნული აკაკი შანიძისეულ „ლექს“ — აბგად-ევზათ, იკალ-მანო, პაჟი-რასტა, უფქა-ღაყაშ, ჩაცა-ძაწა, ჭახა-ჯაჰა — მხედრულის გვერდით მრგლოვანითაც სთავაზობს ბავშვებს.

მრგლოვანის დაუფლებისათვის შემდგომაც უნდა შესრულდეს არაერთი სავარჯიშო; მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ და გადაიწერონ: მთავრულებით დაწყებული, ანბანის რიგზე დალაგებული სიტყვები; მთავრულით გამშვენებული დიალოგები; ილიას, აკაკისა თუ სხვა ავტორთა გემოვნებით შერჩეული ტექსტები (გვ. 7, 12, 29, 41, 49, 102, 126).

სასწავლო წერილის ნიმუშად სახელმძღვანელოში შეტანილია „ექსკურსია ბოლნისში“. ტექსტი ეხება ამ ძველის უმნიშვნელოვანეს წარწერებს (გვ. 129-130). იგრძნობა სათანადო ფოტოსა-სალების უქმარისობა. ყდაზე მოხდენილი ყვავილწუნის ნაცვლად ბოლნისის სიონის სურათი და წარწერების პირები გაამშვენებდა წიგნს, გაამდიდრებდა მოსწავლის ცოდნას, მასწავლებლის ცოცხალ სიტყვასთან ერთად საკვებს მისცემდა სულს.

სასიამოვნოა, რომ ბოლნისის სიონის განცდა შემოდის ჩვენს სკოლაში; V კლასის სახელმძღვანელოც ამ ტაძრისაკენ მიმართავს მოსწავლის გულისყურს.

VII კლასის „ქართული ენის“ წიგნი აგრძელებს მრგლოვანის დასწავლა-გამოყენების გაკვეთილებს: სავარჯიშოებად — კვლავ მთავრულებით დაწყებული კითხვა-პასუხი, კვლავ მრგლოვანით დაბეჭდილი კლასიკოსთა ტექსტები, ლექსები ქართული ენის შესახებ — წასაკითხად, გადასაწერად, დასასწავლად. აქ სავარჯიშოების გარდა მრგლოვანი მთავრულ ასოებად უძღვის სასწავლო პარაგრაფის საილუსტრაციო ფრაზებს (იხ. გვ. 14, 16, 17, 19-22, 25, 35, 48, 53, 57).

IX კლასის „ქართული ენის“ სახელმძღვანელოს ყდა ქართული ასოებითაა „მოჩითული“. ახლა ძველი ქართული ენის მოკლე კურსი მთლიანად უნდა გაიაროს მოსწავლემ. ბუნებრივია, რომ საგანგებო ყურადღება ექცევა ძველქართული დამწერლობის

საკითხებსაც.

მრგლოვანზე მუშაობა სავალდებულოა რთული წინადადებისა და სასვენო ნიშნების სწავლების პროცესშიც. კვლავ ჩვეულებრივია მრგლოვანით დაბეჭდილი ტექსტების წაკითხვა-გადაწერა, მთავრულების ამოცნობა ლექსებსა თუ დიალოგებში და სხვ. (გვ. 6, 18, 22, 38, 43, 48, 50, 76, 77, 78, 79, 80).

ისე რომ, ამიერიდან — 1999 წლიდან — ქართული სკოლა V კლასიდანვე იმუშავებს მრგლოვანის ათვისებაზე; იგი აღარ დაუცდის ლიტერატურის სისტემატური კურსის დაწყებას, ძველქართულ სამწერლობო ძეგლების გაცნობას.

სკოლას ქართული ანბანის სახეობათა სწავლების დიდი ამოცანა დაეკისრა, მაგრამ სახელმძღვანელოების მიხედვით:

1. ჩრდილში რჩება ანბანის ნუსხახუცუტურ-კუთხოვანი სახეობა; საშუალო სკოლის მოსწავლე შორიდან უყურებს მას;

2. მონაკლისება უძველესი წარწერების ფოტომასალები (პალესტინისა, ბოლნისისა, მცხეთის ჭვრისა...);

3. ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს მხოლოდ IX კლასში ექცევა ყურადღება. იქნებ VI კლასში რიცხვითი სახელის სწავლებასაც მიქცეოდა ყურადღება;

4. ცოდნის შემაჯამებელ კითხვებში არსადაა გათვალისწინებული ძველქართული ანბანის საკითხები, ფონეტიკა-გრაფიკის თავის საკონტროლო კითხვებშიც კი;

5. V კლასის „ქართული ენის“ ეს ახალი სახელმძღვანელო არ მისდევს ანბანის ამჟამად მოქმედ ზემოწარმოდგენილ პროგრამას; ასე, მაგალითად, სახელმძღვანელო გვერდს უვლის ხმარებიდან გასული ასოების საკითხს, პროგრამაში კი გათვალისწინებულია მათი სწავლება. აღბათ, პროგრამა შეიცვლება სახელმძღვანელოების კვალობაზე და ხმარებიდან გასულ ასოებს IX კლასში გაეცნობა მოსწავლე.

კეთილი საქმე გაკეთდა: სკოლა იწყებს და, ვფიქრობთ, თავს გაართმევს მრგლოვანის რიგიანად შესწავლას; ქართველი დამუნჯებული აღარ იდგება მშვენიერი ქართული წარწერების წინაშე, მათთან მიახლება მშობლიურის განცდით, ამოკითხვა კი სიამაყის გრძნობით აავსებს მას.

ძველქართული ანბანის V კლასიდანვე სწავლების გადაწყვეტილებას. შეიძლება არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვეს (მაგ., პროგრამა-სახელმძღვანელოების გადატვირთვის მოტივით),



მაგრამ ამ ანბანის სწავლებასთან დაკავშირებული კითხვების სირთულის მიუხედავად, უნდა ვენდოთ იაკობ გოგებაშვილის დიდ პედაგოგიურ აღლოს და V კლასიდან კი არა, ადრეული ასაკიდანვე, I კლასიდანვე, გონივრულად წარემართოთ მოსწავლეთა მუშაობა ამ თემაზე, მით უფრო, რომ არის ტენდენცია — რელიგიური შინაარსის მასალის (ლოცვების, სახარების ნაწყვეტების) გაცნობით სკოლამ ადრევე აზიაროს ბავშვი ძველი ქართული ენის სურნელს.

ძველი ანბანის შესწავლისა და ძველქართულ ტექსტზე სისტემატური მუშაობის საანბანო პერიოდიდანვე დაწყების აზრი ცხარე კამათს გამოიწვევს, მაგრამ მხედრულის პარალელურად მრგლოვანზე დაკვირვება, შემდეგ კი მის კითხვაში გაწაფვაც არ უნდა გაუჭირდეს ქართველ ბავშვს; საამისოდ უკვე მდიდარი გამოცდილება აქვს სკოლას, უცხოური ენების დაწყებითს საფეხურზევე სწავლების პროცესში შეძენილი.

შეიძლება შემოგვედაონ — საქმე მაინც გაძნელებილია, მრგლოვანთან ერთად (ან შემდგომ) ნუსხურიც ივარაუდებო, ე. ი. ქართულში სამსახოვანი ასოების საკითხი დგებო, მაგრამ ეს „სამება“ შემოგვთავაზა ქართველი კაცის ბუნებამ, ანბანის სრულყოფისაკენ მისმა დაუოკებელმა სწრაფვამ. ამიტომ უმჯობესია, ანბანის სახეობათა შესწავლის გამოცდილება ჯერ საკუთარ ასო-ნიშნებზე შეიძინოს ქართულმა სკოლამ და შემდეგდა შეემზადოს იგი უცხოური ანბანების გასაცნობად.

ძველქართული ანბანის სკოლაში ათვისების მოთხოვნა და მრგლოვანის საზედაოდ (მთავრულებად) გამოყენების ცდა აკი ა. შანიძის სახელს უკავშირდება<sup>1</sup>. მხედრულის საზედაო ასოებით გამდიდრების ოცდაათი წლის წინანდელი თვალსაზრისი დღესაც საკამათოა, ძველი ანბანის რიგიანად სწავლების აზრი კი საყოველთაოდაა გაზიარებული; გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1997 წლის ნომრებში ვკითხულობთ ანა კალანდაძის საგულისხმო წერილებს:

მეცოვანი მეცნიერისთვის „სულში ღრმად ჩაძირული ტკივილი“ იყო, თანდათან „უცხო და მიუწყვდომელი რომ ხდებოდა ულამაზესი ძველი ქართული ანბანი“. ბატონი აკაკი „ვერ ეგზე-

<sup>1</sup> ა. შანიძე, დაფარული საუნჯე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1962; მისივე, ქართული წერა, ჟურნ. „პიონერი“, №5, 1963.

ბოდა მთავრულისა და ნუსხურის დავიწყებას და ცდილობდა, თანამედროვე დამწერლობაში მთავრული ასოები საზედაოდ მაინც გამოყენებულიყო. საამისო მაგალითსაც თავად იძლეოდა<sup>1</sup>.

„ჩანაფიქრი კეთილშობილური იყო: არ დაგვეყარგა, საზოგადოებრივი ცნობიერებიდან არ ამოშლილიყო ასომთავრული ანბანი, როგორც ისტორიული და ესთეტიკური მოვლენა, მაგრამ საამისოდ ჯობდა, სკოლებში სავალდებულოდ შემოედოთ ასომთავრულის სწავლება (მასთან ერთად, ცხადია, ნუსხურისაც)“<sup>2</sup>.

ქეშმარიტად! განათლების კერებში ქართული ანბანის სახეობათა დაუფლებისკენ სწრაფვა საერთო-ქართულ მოვლენად უნდა იქცეს, ქართულმა სკოლამ უნდა შექმნას ძველი დამწერლობის საყოველთაო ცოდნის პირობები: „შემაწვილმა ჩვენს ისტორიულ ფასეულობათა მემკვიდრედ რომ იგრძნოს თავი“, იგი „დიდაც რომ თავიდანვე უნდა ეზიაროს ამ ჯადოსნური დამწერლობის საიდუმლოს!“ „სწორედ ასე აღზრდილი და განსწავლული საქართველოს მოქალაქე თუ შეიძლება ჩვენი „ვერვისგან ანაწონები“ განძის მოვლასა და პატრონობას“<sup>3</sup>.

დიდი მეცნიერის მოთხოვნით და თანამოაზრეთა მხარდაჭერით თანდათან მტკიცდება ძველქართული ანბანის ია-ს პირველი გაცვეთილებიდანვე სწავლების იდეა; მიაჩნიათ, რომ ქართველი პატარაობიდანვე უნდა გაუშინაურდეს გაუცხოებულ ასომთავრულსა თუ ნუსხურს. ამიტომ სულ უფრო იკიდებს ფეხს პირველკლასელთა წიგნებში მრგლოვანი ვარიანტების მხედრულის პარალელურად ბეჭდვის ტრადიცია. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, ბულგარეთში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული „ქართული ანბანი“, დამტკიცებული საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სასწავლო მასალად პირველკლასელთათვის<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ა. კალანდაძე, დიდი უღუშბოელების დიდი მემკვიდრე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 23-30.V.1997; მისივე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წერილის ბასუხად, გაზ. „ლიტ. საქ.“, 24-31.X.97.

<sup>2</sup> ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, რაც ეპატიება იუპიტერს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 12-19.IX.1997.

<sup>3</sup> ა. კალანდაძე, დასახ. წერილი.

<sup>4</sup> ქართული ანბანი პირველკლასელთათვის, წიგნი შეიქმნა საყმაწვილო ლიტერატურულ ჟურნალ „დილაში“ (მხატვარი ნუგზარ გიგაური, შემდგენელი მერი მანგოშვილი, რედაქტორ-გამომცემელი დოდო წიგწივაძე), 1997.

მასწავლებელს დიდი პედაგოგიური ალლო და სიტუაქიზე მართებს, რომ მრგლოვანთან პირველი შეხვედრა სიხარულიანი, მისი შესწავლის ცნობისწადილიანი იყოს პატარებისთვის.

წერა, ცხადია, გამორიცხულია ამ საფეხურზე. ამგერად მხოლოდ თვალთ განცდაა საკმარისი საუკუნეების მტკრით დაფარული ამ დაუფასებელი საუნჯისა.

თუ ხორცი შეესხმება ძველი დამწერლობის საანბანო პერიოდიდანვე ათვისების ეროვნულ იდეას, წინასწარ უნდა დაისვას და გადაწყდეს მრგლოვანი თუ ნუსხური ანბანისა და ხმარებიდან გასულ ასოთა ვარიანტების გაცნობის თანამიმდევრობის, აგრეთვე სათანადო ორთოგრაფიული რეფორმის სწავლების საკითხები.

ძველი გრაფემების თემას მრავალი კუთხე აქვს. შეგჩრდეთ ხმარებიდან გადავარდნილი ასოების კერძო საკითხებზე; სახელდობრ, სახელმძღვანელოების მიხედვით თვალი გავადევნოთ ამ ასო-ნიშნების მხედრულ ვარიანტთა შემუშავების თვალსაზრისს.

ხმარებიდან გასული ასოების შესახებ IX კლასის „ქართულ ენაში“ შეტანილია 1934 წლის ქრესტომათიიდან ცნობილი ა. შანიძის მოსაზრება (მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით).

მღრ. ა) ბ ი რ ვ ე ლ წ ყ ა რ ო: „ამათგან (ივარაუდება მ, დ, ჰ, ჯ, შ ასო-ბგერები. — ლ. შ.) თავიდანვე მხედრულს მარტო ჯ დაჰყვა: მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) და მხოლოდ შემდეგ, მე-17 ს-ში, — ერთი მხრივ, ასოთა რიცხოზობრივი მნიშვნელობის დასაცავად... და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, — მხედრულშიც შეიქმნა სათანადო ნიშნები: მ, დ, ჰ, შ“<sup>1</sup>.

და ბ) IX კლასის სახელმძღვანელო: „ამათგან თავიდანვე მხედრულს მარტო ჯ დაჰყვა: მე-11 საუკუნეში, როცა პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად ამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) და მხოლოდ შემდეგ, მე-17 საუკუნეში — ერთი მხრივ, ასოთა რიცხოზობრივი მნიშვნელობის დასაცავად, და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, —

<sup>1</sup> ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასისათვის, 1934, გვ. 08.

მხედრულშიც შეიქმნა სათანადო ნიშნები: მ, დ, ჯ, მ<sup>1</sup>.

ა. შანიძის ეს თვალსაზრისია ციტირებული ლ. კვაჭაძის „ქართული ენის“ უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოს ოთხივე გამოცემაში<sup>2</sup>, ოღონდ აქ რედაქციული ცვლილებების გარდა შეცდომაც აღინიშნება ტექსტის ბოლო ფრაზაში<sup>3</sup>.

წიგნის ყველა გამოცემაში „ხმარებიდან გასული ასოების“ პარაგრაფებში წინადადებას — „ძველად დანარჩენ ხუთ ნიშანსაც — მხედრულით: მ, დ, ჯ, მ — თავ-თავისი წარმოთქმა, ე. ი. ბგერა, შეფერებოდა“ — მოსდევს ჯ-ს თაობაზე. ავტორისეული ჩანართით შევსებული ა. შანიძის ციტირება:

„ამათგან მხედრულს თავიდანვე მართო ჯ დაჰყვა...<sup>4</sup> მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) და მხოლოდ შემდეგ, მე-17 ს-ში, ერთი მხრივ, ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობის დასაცავად და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, — მხედრულშიაც შეიქმნა სათანადო ნიშნები: მ, დ, ჯ, მ, მ<sup>5</sup>.

ა. შანიძის ტექსტის ბოლო ფრაზა ლ. კვაჭაძესთან „ჩასწორებულია“ (აქ **ოთხის** ნაცვლად **ხუთივე** ასოა დასახელებული ჯ-ს ჩათვლით) რის გამოც ისე გამოდის, თითქოს ჯ-ს მხედრული ვარიანტიც მე-17 საუკუნეშია შექმნილი და არა იმთავითვე, როგორც ავტორი ბრძანებს. ეს, შესაძლოა, კორექტურული მცდარობა 1961 წლიდან მოსდევს სახელმძღვანელოს და უთუოდ უნდა

<sup>1</sup> ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, 1988, გვ. 70.

<sup>2</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, პირველი გამოცემა, 1961; გადამუშავებული და შევსებული მეორე გამოცემა, 1969; გადამუშავებული და შევსებული მესამე გამოცემა, 1981; შესწორებული მეოთხე გამოცემა, 1993, სადაც ძველ ორთოგრაფიას დასახელებულია: მ დ ჯ მ მ გრაფიები (!), გვ. 72.

ლ. კვაჭაძის „ქართული ენის“ მეოთხე, შესწორებულ გამოცემაში ა. შანიძის დამოწმება საერთოდ ხმარებიდან გასული ასოების დასახელების გარეშეა დაბეჭდილი, ამიტომ ბოლო ფრაზის მცდარობის კონტროლი აქ შეუძლებელია (იხ. § 73).

<sup>4</sup> მრავალწერტილის ადგილას იგულისხმება ლ. კვაჭაძის შენიშვნა ჯ-ს შესახებ: „რომლით აღნიშნული ბგერაც დიდხანს იყო გარჩეული ხ-საგან (ზოგიერთ კილოში გარჩეულია დღესაც)“, გვ. 83.

ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, 1961, § 69, გვ. 62; 1969, § 73, გვ. 80.

გასწორდეს მის შემდგომ — მეზუთე — გამოცემაში მაინც (თუკი ავტორი კვლავაც ა. შანიძის ამ შეზღუდულებას გაიზიარებს).

ძველ გრაფემებთან დაკავშირებით ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ ა. შანიძემ მოგვიანებით ხელშესახებად შეცვალა თავისი მოსაზრება მხედრული ანბანიდან ავტომატურად ამოცივიწული ასოების შესახებ. ასე, მაგალითად, „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ სახელმძღვანელოს 1950 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: მ, დ, ჯ, კ, მ ასოებიდან „მხედრულს მარტო ჯ დაჰყვა თავიდანვე: მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა **ქ** და **ძ** (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები), ხოლო **ო** ასოს მოხაზულობა **ნ**-ისა დაემსგავსა. მხოლოდ შემდეგ, მე-17 ს-ში — ერთი მხრივ, ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობის დასაცავად... და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, — მხედრულშიაც შეიქმნა სათანადო ნიშნები: მ, დ, ჯ, მ“, გვ: 285.

1975 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „ძველი ქართული ენა და ლიტერატურის“ 1954 წლის მე-13 გამოცემიდან გადაბეჭდილი „ძველი ქართული ენა“, სადაც უცვლელადვე შევიდა ა. შანიძის ეს მოსაზრება<sup>1</sup>. შემდეგ იგი ავტორმა უფრო დააზუსტა და დაწურული სახით წარმოადგინა 1976 წელს „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“; აქ აღნიშნულია, რომ:

„მხედრულ წერას, ხუცურისაგან განსხვავებით, თავიდანვე აკლდა სამი ასო **ქ**, **ძ**, **ო**, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამათი შესატყვისი, მაგრამ შემდეგ ამათთვისაც შემუშავდა მხედრული სახეები: მ, დ, მ (შესაბამისად)“<sup>2</sup>.

მამასაღამე, ადრე, 1934 წლიდან, ავტორს მიაჩნდა, რომ მე-11 საუკუნეში მხედრული ანბანიდან სათანადო ბგერების უქონლობის გამო „ავტომატურად გამოვარდა“ **ოთხი** ასო — მ, დ, ჯ, მ — და სახელმძღვანელოშიც ეს მოსაზრება შეჰქონდათ, შემდგომ, როცა მხოლოდ **ორი-სამი** ასოს (მ და მ-ს; მ, დ, მ-ს) მექანიკურად დაკარგვის საკითხილა დასეა ა. შანიძემ თავის შრომებში, მათზე დაყრდნობილ ლ. კვაჭაძის ავტორობითა თუ თანავტორობით შედგენილ სახელმძღვანელოებში ისევ ძველი

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, 1975 (დაბეჭდილია როტაპრინტზე).

<sup>2</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 11.

შეხედულება დარჩა გაზიარებულ<sup>1</sup>.

მხედრული ანბანიდან მ, დ, ვ, მ — ოთხი ასოს ავტომატურად ამოვარდნის აზრის ერთგულებას თავისი საფუძველი ეძებნება თითქოს; საქმე ისაა, რომ ა. შანიძეს კარგა ხანს სწორედ ეს აზრი მიაჩნდა მართებულად. ამასთან, მ, დ, მ — სამი ასოს ბოლოდროინდელი (1976) მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში საგანგებოდ დგება ვ-ს საკითხი, რაზედაც აქ ავტორი გადაჭრით არაფერს გვეუბნება, სახელმძღვანელოში კი საბოლოოდ მიღებული, აღიარებული დებულებები შეაქვთ.

როგორც ვხედავთ, ხმარებიდან გასული ასოების ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისია შესული საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისთვის განკუთვნილ ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის, აგრეთვე მათი თანაავტორობით გამოცემულ ქართული ენის სახელმძღვანელოებში. საკითხს მოვლა უნდა: ანბანის თემაზე მსჯელობისას გარკვევით უნდა წარმოჩნდეს ხმარებიდან გადავარდნილი თითოეული ასო-ნიშნის თავგადასავალი და სინათლისათვის შესაბამისი დოკუმენტური მასალებიც დაერთოს ქართული ენის სახელმძღვანელოებს. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, კორექტივი სჭირდება ა. შანიძის გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს მე-11 საუკუნეში „პირველად ჩაისახა მხედრული ასოები“. სასწავლო წიგნებში უთუოდ უნდა აისახოს ატენის სიონის კედლებზე გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის მიერ ამოკითხული VIII-IX-X სს. მხედრული წარწერების კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც სარწმუნოა, რომ „მხედრული“ თავისი წარმოშობით კიდევ უფრო ძველია<sup>2</sup>.

ხმარებიდან გასულ გრაფემებზე საუბრისას პროგრამებში ყურადღებას იბყრობს სვანური ენის ხსენებაც; საკითხი დგება ასე: დ და ვ ბგერები ძველ ქართულში, სვანურსა და ქართული ენის ზოგიერთ კილოში (X კლ.); დ და ვ ბგერები ძველ ქართულში, სვანურში, ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში (IX

<sup>1</sup> აღინიშნა, რომ ეს ვითარებაა VIII, შემდგომ IX კლასის „ქართული ენის“ სახელმძღვანელოშიც (1986). ეგ არის, რომ მე-17 საუკუნეში შემუშავებულად აქ პირველწაროს კვალობაზე ოთხი ნიშანია დასახელებული (ვ-ს გარეშე) და არა ხუთი (ვ-ს ჩათვლით), როგორც ლ. კვაჭაძის „ქართული ენის“ 1961, 1969 და 1981 წლების გამოცემებშია.

<sup>2</sup> გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ციცკარი“, 1978, №5-6; რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, 1989, გვ. 5.

კლ.); შდრ. 2 და 3 ბგერები ძველ ქართულსა და დიალექტებში (X კლ.).

პროგრამების მიხედვით გამოდის, რომ 2 და 3-ს სვანურში არსებობის შესახებ ცნობა V და IX კლასებში უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს, X კლასში კი — აღარ. ამ მხრივ სხვა ვითარებაა ქართული ენის სახელმძღვანელოებში: სვანურს ეხება სიტყვა როგორც IX, ისე X კლასის „ქართულ ენაში“; ასე, მაგალითად, IX კლასის სახელმძღვანელოში 3-ს შესახებ ნათქვამია:

„ეს ბგერა ცოცხალია დღესაც ქართული ენის ზოგიერთ კილოში (ხევსურულში, ფშაურში, მონღურში, ინგილოურში...) და სვანურ ენაში“ (გვ. 70)<sup>1</sup>.

X კლასის წიგნში კი ვკითხულობთ:

„სრულიად უმნიშვნელოა სხვაობა ჩვენს ენებს შორის თანხმოვნების მიხედვით. სახელდობრ, ერთადერთი თვალსაჩინო განსხვავება ის არის, რომ ამჟამად მხოლოდ სვანურში და ქართული ენის ზოგ დიალექტში გვხვდება ენის ძირისმიერი ფშვინვიერი 3. მაგრამ ძველი ქართული ენის ძეგლებიდან ცნობილია, რომ წინათ ის მთელ ქართულში იყო გავრცელებული (მოგვიანო ხანებში 3 შეცვალა ხ-მ). უდავოა, რომ 3 ბგერა ადრე მეგრულ-ლაზურსაც უნდა ჰქონოდა და იქაც მას ხ შეენაცვლა“ (გვ. 28).

ორსავე სახელმძღვანელოში სიტყვა ეხება 2 და 3 ნახევარხმოვნებსაც; კერძოდ, X კლასის წიგნში შენიშნულია, რომ: „ქართველურ ენებსა და დიალექტებში გვხვდება ხმოვანთა დასუსტების გზით მიღებული ე. წ. „ნახევარხმოვნები“, 2 და 3“ (გვ. 28). სათანადო ნიმუშები არც აქ სახელდება (შდრ. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლ., 1988, გვ. 70-71).

ქართულსა და ქართული ენის დიალექტებზე საუბრისას სვანურისა თუ მეგრულ-ლაზურის შესახებ სიტყვის გაგრძელება ქართველურ ენათა საკითხზე მსჯელობას გულისხმობს. ეს კარგადაა გასიგრძეგანებული X კლასის „ქართული ენის“ ახალ სახელმძღვანელოში. IX კლასის წიგნში კი უბრალოდ, მაგალითების გარეშე, შენიშნულია, რომ 3 სვანურშიც არის დაცული, რაც

<sup>1</sup> შდრ. პირველწყარო: „სათანადო ბგერა დღესაც შენახულია მთაში (ხევსურულში, ფშაურში, ხევსურეთში, თუშეთში), ქიზიყში, საინგილოში და რამდენადმე სხვაგან (ა. შანიძე და სხვ., 1934, გვ. 08 [4]; სვანური აქ არაა ნახსენები.

არაა საკმარისი; სკოლამ ზერეულედ კი არა, შეგნებულად უნდა იცოდეს, რატომ ვახსენებთ სვანურს ქართული ენის დიალექტების გვერდით.

ქართველური ენების საკითხის გაშუქება ქართველთა ვინაობის, ერთიანი საქართველოს შეგრძნება-გააზრებას უკავშირდება და ამის თაობაზე X კლასშილა საუბარი დაგვიანებულია; უნდა მოხერხდეს, რომ ქართველურ ენათა და ტომთა ნათესაობის დასაბუთებული აზრი ადრეულ ასაკშივე გაუჯდეს აღსაზრდელს: სასკოლო სახელმძღვანელოებით მიეწოდოს შესაბამისი ცნობები და მარტივი ტექსტები, რომ ამით მას ერთიანი სამშობლოს განცდა შეექმნას, შეისისხლხორცოს დედააზრი სტრიქონებისა.

„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, — ყველა ჩემი სამშობლოა საყვარელო საქართველო“.

ენა, მამული, სარწმუნოება — დიდი ილიასეული სამება ერთარსებაში უნდა ეძიოს აღსაზრდელმა ქართულობით გამორჩეულ სიტყვასა თუ საქმეში.

მრავალეროვანი და მრავალენოვანი საქართველო, ქართული სახელმწიფო ენა და მოქალაქეთა ენებისადმი დამოკიდებულება სწორად უნდა გაიაზროს ახალმა სკოლამ.

ქართული ენის სახელმძღვანელოების საგულდაგულოდ შესწავლა-აჩუღოფა, კერძოდ, ძველქართული ანბანის პერმანენტულად სწავლების, ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ინტერესის გაღვივების, ენობრივი პოლიტიკისა თუ სხვა საკითხების ახლებურად გადაწყვეტა-ჩამოყალიბება პირველი რიგის საშური, სამამულიშვილო საქმეა. ამას მოითხოვს თაობათა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა და ძირეული ცვლილებები განათლების სისტემაში.



ივანე გიგინეიშვილი

### რესპუბლიკური პრესის ენობრივი ანალიზი<sup>\*</sup> (ზოგადი მიმოხილვა)

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ქართული რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ენა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ არა გვაქვს ამ მხრივ სასურველი მდგომარეობა. გაუმჯობესება უპირატესად იმაში გამოიხატა, რომ ამჟამად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში უკეთესად, შეიძლება ითქვას, სავსებით დამაკმაყოფილებლადაა დაცული ორთოგრაფიული წესები ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ჯეროვანი ყურადღება ექცევა პუნქტუაციის წესების დაცვას, დამაკმაყოფილებელია ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური ნორმების დაცვაც. სამწუხაროდ, ეგევე არ ითქმის სტილისტიკური ნორმების შესახებაც. ჯერ კიდევ მოუგვარებელია რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებისას არსებითი საკითხები, მოუგვარებელია წინადადებათწყობისა და წინადადებაში სიტყვათწყობის საკითხები, ანგარიში არ ეწევა ლოგიკურ მახვილს და, რაც ყველაზე მთავარია, მოუგვარებელია სიტყვათა შინაარსობრივი შეწყობისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების საქმე. ყველაზე მეტად ჩვენი ჟურნალ-გაზეთები სწორედ ამ მხრივ სცოდავენ. დამახასიათებელი ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით რაიონის გაზეთები ნაკლებ სცოდავენ (ივარაუდება ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი მასალა, თორემ ოფიციალური ხასიათის

<sup>\*</sup> წაკითხულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამთავრობო კომისიის სხდომაზე 1963 წელს.

ცნობები ამ გაზეთებში სავსებით ემთხვევა რესპუბლიკურ გაზეთებში დაბეჭდილს). წინამდებარე მიმოხილვაში გაანალიზებულია ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე ტიპობრივი ფაქტები და ჩვენებია მათი წარმომშობი მიზეზები.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკური გაზეთების ენა და სტილი ერთგვარი არაა. იგულისხმება, რა თქმა უნდა, ობიექტური ნორმების დაცვა და მხედველობაში არა გვაქვს ინდივიდუალური თავისებურებები, სუბიექტური სტილის საკითხები. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ გაზეთს, უკეთ, ზოგიერთი გაზეთის ზოგიერთ მუშაკს, რომელსაც ამ გაზეთის ენისა და სტილის შეთვალყურება და სწორება ევალება, თავისებური შეხედულებები აქვს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიულ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და სტილისტიკურ ნორმათა საკითხებზე და ამ შეხედულებებს პრაქტიკულადაც ატარებს გაზეთის ფურცლებზე. მეტიც, იმავე გაზეთის ფურცლებზე ხშირად სპეციალურ წერილებში ცდილობს კიდევაც ამ შეხედულებათა თავისებურად „დასაბუთებას“. რა თქმა უნდა, ასეთ სიჭრელესა და ერთგვარ თვითნებობას ბოლო მოეღება, როცა გამოქვეყნდება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ, მაგრამ ამთავითვე მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ასეთი მუშაკი არ არის კეთილად განწყობილი უკვე გამოქვეყნებული ლიტერატურისადმი და დაუმსახურებლად სწამებს მიკერძოებულობას სხვადასხვა ლექსიკონებსა და ცნობარებს. სრულიად უდავოა და საყოველთაოდ ცნობილი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემანი — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და სხვა ლექსიკონები ნორმატიული ხასიათისანი არიან და მათში გატარებულია ის ნორმები, რომლებიც დადგენილებათა სახით მიიღო ნორმათა დამდგენმა კომისიამ. ამ დადგენილებებს ემყარება, ბუნებრივია, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“. მიუხედავად ამისა, გაზეთები არ იცავენ ამ გამოცემებში წარმოდგენილ წესებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ცნობილი მწერალი თავისებური შეხედულებისაა სალიტერატურო ენის საკითხებზე,

მაგრამ ამ შეხედულებათა დასაბუთებას საჭიროდ არ მიიჩნევს, არგუმენტაციას საკუთარ ავტორიტეტზე დამყარებული ლიტონი განცხადებებით ცვლის. ასეთ მწერალს მიმბაძველები უჩნდება არამწერალთა წრეშიც, რაც იწვევს ფორმათა არევ-დარევასა და სიჭრელეს საერთოდ.

აქედან ცხადია, თუ რამდენად აქტუალურია საერთოდ სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები და, მით უმეტეს ასეთ ვითარებაში.

\* \* \*

თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში ერთ-ერთი მეტად საჭირობო საკითხია ადამიანის (პირთა) საკუთარი სახელების ბრუნების საკითხი. სასაუბრო ენიდან ზოგი უმართებულო ფორმა მწერლობისა და პრესის ენაშიც იჭრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ზოგიერთი ისეთი ფორმა გამოყენებული საგაზეთო წერილისა, რომელიც სასაუბრო ენის ელემენტების გამოყენებას მოითხოვს.

ადამიანის სახელთა ფუძე ქართულში შეიძლება ბოლოვდებოდეს როგორც ხმოვან, ისე თანხმოვან ბგერებზე. ხმოვან ბგერებზე ბოლოვდება ფუძეები სახელებისა: პაპუნა, შოთა, ილია, ნათელა, მართა; ალექსანდრე, პეტრე, ელენე; ნინო, ქაინოსრო; ნუნუ, დუტუ; ირაკლი, აკაკი, გიორგი, ედუკი, ლილი... თანხმოვან ბგერებზე უბოლოვდება ფუძეები სახელებს: ვახტანგ-ი, დავით-ი, არჩილ-ი, გურამ-ი, ნოდარ-ი, ვასილ-ი, თამარ-ი, ქეთევან-ი, დარეჯან-ი, როდამ-ი, თინათინ-ი...

როცა სახელის ფუძე **ა**, **ე**, **ო** ან **უ** ხმოვანზე ბოლოვდება, ასეთი სახელის ბრუნებისას წესის დარღვევას არ ვხვდებით, ბოლოვიდური ხმოვანი არსად არ მოეკვეცება, სახელობითი ბრუნვის ფორმა (ე. ი. დასახელების ფორმა) და მიმართვის ფორმა ერთგვარია, ერთგვარია აგრეთვე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: სახელობითი და წოდებითი — ნათელა, მიცემითი და ნათესაობითი — ნათელა-ს, მოთხრობითი — ნათელა-მ, ვითარებითი — ნათელა-დ, მოქმედებითი — ნათელა-თი.

როცა სახელის ფუძე **ი** ხმოვანზეა დაბოლოებული ან როცა სახელს ფუძის ბოლოვიდურად თანხმოვანი ბგერა მოუდის,

მაშინ სახელობითი ბრუნვის ფორმაში (ე. ი. დასახელების ფორმაში) ამგვარი სახელები გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ერთი მხრით, გვაქვს: ვახტანგი, გურამი, არჩილი, თამაზი, ნოდარი, თამარი, როდამი და სხვ., ხოლო მეორე მხრით: ალექსი, აკაკი, გიორგი, დიმიტრი, ირაკლი, ლილი, მერი და სხვ. მაგრამ, თუ პირველი წყების სახელებში (ვახტანგი, გურამი...) ბოლოკიდური **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ფორმებში არ გადაწყვება სახელებს, მეორე წყების სახელებში (ალექსი, გიორგი...) **ი** რაკი ფუძისეულია, სხვა ფორმებშიც გვექნება (ვთქვათ, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, მიმართვის ფორმაში). ამიტომაც, რომ, ერთი მხრით, გვაქვს: გურამ-ი ხატავს, გურამ-მა დახატა, გურამ-ს დაუხატავს; მიმართვისას — გურამ! მეორე მხრით, გვაქვს: ალექსი ხატავს, ალექსი-მ დახატა, ალექსი-ს დაუხატავს; მიმართვისას — ალექსი!

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია შედეგი, რომელიც მოჰყვა იმ ფაქტს, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმანტი ქართულში -**ი** სუფიქსი იყო: ქართულში აღარ შემოგვრჩა **ი** ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები. ერთადერთ ვინ ნაცვალსახელს მოუდის ფუძის ბოლოკიდურად **ი** ხმოვანი და ისიც იმიტომ, რომ საკუთარი სახელობითი არა აქვს (მოთხრობითი ბრუნვის ფორმა სახელობითისთვისაც გამოყენებული), **ი** სიტყვის ბოლოკიდურად არ მოხვდა, ბოლოკიდური -**ნ**-ც არ აღიქმებოდა მოთხრობითის ფორმანტად და საერთოდ მთელი სიტყვა დაშლას არ ექვემდებარებოდა.

ამრიგად, ბევრი ქართული ფუძე, რომლებიც **ი** ხმოვანზე ბოლოვდებოდა, დასახელებული მიზეზის გამო **ი**-ს ჩამოცილების შედეგად თანხმოვანფუძიან სახელთა წყებაში მოექცა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულ ენაში შემოსულმა უცხოურმა სიტყვებმაც ქართული სიტყვების ბედი გაიზიარეს: ქართულში მათაც ჩამოსცილდა ფუძის ბოლოკიდური -**ი** ხმოვანი და თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს შეუერთდნენ. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, მონასტერი, პარასკევი (ბერძნ.), ყალი, მუშტარი (არაბ.), აბაზი, ზანგი (სპარს.), ელჩი, გემი, ყუთი (თურქ.) და ზოგი სხვა.

\* ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 67.

ადამიანთა უცხოურ სახელებს — ე. წ. „კალენდრის“ სახელებს თუ ფუძის ბოლოკიდურად **ი** ხმოვანი შქონდათ, ქართულად გადმოღებისას, ჩვეულებრივ, ეს **ი** ხმოვანი ფუძეს შეჩრებოდა. ამის გამოა, რომ გვაქვს ბევრი სახელი, რომლებსაც ფუძე **ი** ხმოვანზე უბოლოვდება: აკაკი (მოთხრ. — აკაკი-მ, მიმართვისას — აკაკი!), ამბროსი (მოთხრ. — ამბროსი-მ, მიმართვისას — ამბროსი!), გერონტი, გიორგი, ევსევი, ირაკლი, ალექსი და მისთ. ამ წესს დაექვემდებარენ უფრო გვიან გავრცელებული სახელებიც: ანატოლი, მერი, ლილი და მისთ. მაგრამ ზემოაღნიშნული პროცესი ფუძის ბოლოკიდური **ი** ხმოვნის სახელობითის ბრუნვის ფორმანტად გაგებისა და ფუძეს ჩამოცილებისა იმდენად ძლიერი იყო, რომ არათუ მხოლოდ საზოგადო სახელები მოიცვა, არამედ ადამიანთა სახელებშიც იჩინა თავი.

ამიტომაც, რომ პირთა სახელებში — ანტონი, გრიგოლი, ბასილი და ზოგი სხვაც, რომლებშიც ბოლოკიდური **ი** წარმოშობით ფუძეს განეკუთვნება, ეს **ი** ბევრ შემთხვევაში მართლაც ფუძისეულად იყო მიჩნეული ძველ ქართულში და ამიტომ მიცემით ბრუნვაში ანტონი-ს, გრიგოლი-ს, ბასილი-ს, ხოლო მიმართვისას ანტონი! გრიგოლი! ბასილი! ფორმებით იყო წარმოდგენილი. მაგრამ უკვე ძველ ქართულში ამ სახელებში ბოლოკიდური **ი** სახელობითი ბრუნვის ფორმანტად იქნა გაგებული და სხვა ფორმებში ჩამოსცილდა. მიცემითში დამკვიდრდა ანტონ-ს, გრიგოლ-ს, ბასილ-ს და ა. შ. ფორმები, ხოლო მიმართვისას — გრიგოლ! ანტონ! ბასილ! თანამედროვე ქართულში ასეთი ფორმები ერთადერთია და ეს სახელები თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს განეკუთვნებიან.

სახელობითი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული **ი** სიტყვებში: **ნუგეშ-ი** და **თაყვან-ი** (მოთხრ. — ნუგეშ-მა, თაყვან-მა, მიცემ. — ნუგეშ-ს, თაყვან-ს; მიმართვისას — ნუგეშ-ო: ჩემო ნუგეშო. ამ ფუძეთაგან ახალი ფუძეებიც კი არის წარმოქმნილი: სა-თაყვან-ო, უ-ნუგეშ-ო, სა-ნუგეშ-ო...). საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი მიღებულია გამოთქმისაგან **ნუ გეშის, ნუ გეშინის!** მეორე კი მიღებულია ძველი გამოთქმისაგან (ამჟამად კომპოზიტისაგან) **თაყვანისცემა**.

ქართულში კარგა ხანია შეიმჩნევა ამ პროცესის საწინააღმდეგო პროცესის შემთხვევებიც. მაგალითად, XVI-XVII საუკუნე-

ბის ქართულში შემოსული სახელი გივი თანხმოვანზე იყო დაბოლოებული, ისევე როგორც, ვთქვათ, დავითი და ისევე იბრუნვოდა, როგორც ეს უკანასკნელი: სახელობითი — გივი, მოთხრ. — გივი-მა, მიცემ. — გივი-ს; მიმართვისას — გივ! (მდრ.: სახელობითი — დავითი, მოთხრ. — დავით-მა, მიც. — დავით-ს; მიმართვისას — დავით!). ამჟამად ამ სახელში ი სავსებით შეეზარდა ფუძეს და შესაბამისი ფორმები საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც სალიტერატურო ენაში, ისე ჩვეულებრივ სიტყვათმხარებაში: სახელობითი — გივი, მოთხრ. — გივი-მ, მიც. — გივი-ს; მიმართვისას — გივი!

ასეთივე საფრთხის წინაშე დგას თანამედროვე ქართულში სახელები: ეთერ-ი, უშანგ-ი და ორიოდ სხვაც.

ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ფორმანტად გაგებისა და, მაშასადამე, ფუძეს ჩამოცილების თვალსაზრისით წინა ეპოქის სალიტერატურო ენასთან შედარებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. ახლად შემოსული ადამიანთა სახელები ძველ წესს მისდევენ — ფუძის ბოლოკიდურ ი-ს ვინარჩუნებთ. ამათ დაემატა უცხოური გვარები და გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ი აქვთ: ტორიჩელი, ბოტიჩელი, მაძინი, გარიბალდი, ტოლიატი... გორკი, ჩერნიშევსკი, დოსტოვესკი, ტოლსტოი, ბუდიონი... ჰელსინკი, ტრიპოლი, დელი... საზოგადო სახელებიდან: ჩაი, პაი, ტრამვაი... ეს კია, რომ, თუ ეს სახელები მხოლოობითი რიცხვის ფორმებში ინარჩუნებს ფუძის ბოლოკიდურ ი-ს, მრავლობითში (როცა კი მრავლობითის წარმოება შესაძლებელია) ი უსათუოდ ჩამოშორდება. ერთადერთი ფორმებია: გარიბალდები, ტორიჩელები, ჩერნიშევსკები, ტოლსტოები... ასევე ჩვეულებრივია პაეები, ტრამვაეები... გეოგრაფიული სახელები მრავლობითში არ იხმარება, მხოლოობითში ფუძის ბოლოკიდურ ი-ს ვუნარჩუნებთ, მაგრამ თანდებულის დართვისას ამ ი-ს შენარჩუნება თანდათან ძნელი ხდება: კონფერენცია ჩატარდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში... ჰელსინკიმდე (ან დელიმდე) თვითმფრინავით ვიმგზავრეთ... თვითმფრინავმა ტრიპოლიზე გადაიფრინა... ასეთი ფორმები ნორმალური სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ სასაუბრო ენაში ბოლოკიდური ი, ჩვეულებრივ, იკვეცება და მართებულ ჰელსინკიმდე, დელიში ფორმებს

უმართებულო ტრიბოლში, დელში ფორმები ცვლის.

სამაგიეროდ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საკმაოდ მწვავედ იგრძნობა პროცესი სახელობითი ბრუნვის ი ფორმანტის ფუძესთან შეზრდისა, რამაც შედეგად გივ-მა, გივ-ს ფორმათა ნაცვლად მოგვცა გივი-მ, გივი-ს ფორმები და რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაწილობრივ გავრცელდა ეთერ-, უშანგ- სახელებზედაც. ეს პროცესი სასაუბრო მეტყველებაში ვრცელდება საერთოდ თანხმოვანფუძიან ბირთა სახელებზე, მეტადრე ამ სახელთა იმ ნაწილზე, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იხმარება. ამის შედეგია ისეთი ფორმების მოძალება, როგორიცაა: მიმართვისას — ნოდარი! გურამი! ვახტანგი! თამარი! ნესტანი! მოთხრობითში — ნოდარი-მ, გურამი-მ, ვახტანგი-მ, თამარი-მ, ნესტანი-მ; მიცემითში — ნოდარი-ს, გურამი-ს, ვახტანგი-ს, თამარი-ს, ნესტანი-ს და ა. შ. სასაუბრო მეტყველებიდან ეს ფორმები არცთუ იშვიათად გადადის სალიტერატურო ენაშიც, განსაკუთრებით, მხატვრული ლიტერატურის ენაში და, ამრიგად, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ფართოდ ვრცელდება გაუმართლებელი და მცდარი ფორმები. ქართულიდან რუსულად თარგმნის დროს ასეთი ფორმები გადადის თარგმანში და ქართული სახელების მცდარი დაწერილობა ვრცელდება რუსულშიც.

ქართული ბირთა სახელების მცდარი ფორმების გავრცელების მიზეზი რამდენიმეა.

ბირველ ყოვლისა, ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ სახელობითის ი ფუძეს არა ყველა თანხმოვანფუძიან სახელში ეზრდება. აღნიშნული მცდარი ფორმები გვხვდება:

1. იმ სახელებში, რომლებიც აღმოსავლური წარმოშობისაა, XVII საუკუნიდან გავრცელდა საქართველოში, ხოლო დღეს წმინდა ქართულ სახელებადაა მიჩნეული და ამიტომ არქმევენ ხშირად ბავშვებს. ასეთებია: გურამი, თამაზი, ჯუმბერი, ჯუანშერი, ჯიმშედი, ოთარი, როდამი, ზეინაბი, რამინი და მისთ.

2. იმ სახელებში, რომლებიც თურქული წარმოშობისაა და უკანასკნელ ხანებში ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად აგრეთვე ძალიან გავრცელდა. ასეთებია: ჭემალი, ენგერი, მურთაზი, ომარი და მისთ.

3. იმავე მისწრაფების შედეგად უკანასკნელ ხანებში ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ევროპულ სახელებში, მათ შორის ისე-

თებშიც, რომლებიც ლიტერატურული წარმოშობისანი არიან. ასეთებია: ჰენრიხი, ალბერტი, რობერტი, ზიგფრიდი, ზიგმუნდი, ჰამლეტი, ტრისტანი და მისთ.

4. ახალ შერქმეულ სახელებში, რომლებიც მიღებულია ან უცხოური გვარების გამოყენებით (ენგელსი, ჟორესი, ბისმარკი...), ან დედისა და მამის სახელების დასაწყისი მარცვლების შეერთებით (ლეომერი, გრივერი), ან გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლების ან ბგერების შეერთებით (მელსი, მარლენი...), ან სხვადასხვა გამოთქმებში შემავალ სიტყვათა დასაწყისი ბგერების შეერთებით (დაზმირი, მელორი...).

5. იმ სახელებში, რომლებიც ქართული გამოთქმებისაგანაა შედგენილი (მზევინარი, ქალთამზე, დედისიმედი, გულნაზი, დედისთვალი, თეთრქალი...).

რა აქვთ საერთო ამ სახელებს, ან რით უპირისპირდებიან ისინი საერთოდ გავრცელებულ ცნობილ სახელებს, როგორიცაა, ვთქვათ, დავით-ი, მიხეილ-ი, გრიგოლ-ი, სიმონ-ი, თამარ-ი, თინათინ-ი და მისთ., რომელთა გამოყენებისას ზემოდასახელებულ მცდარ ფორმებს იშვიათად ვხვდებით?

მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ამ უკანასკნელთ ყველას მოეპოვება საშინაოდ სახმარი, მოფერებითი, ასე ვთქვათ, საბავშვო ვარიანტები (დავით-ი: დათო, დათიკო, დათა, დათუნა; მიხეილ-ი: მიხა, მიხო, მიხაკო; გრიგოლ-ი: გიგო, გიგა, გიგოლი; სიმონ-ი: სიკო, სიმონიკა; თამარ-ი: თამრო, თამრიკო; თინათინ-ი: თინა, თინიკო და ა. შ.), მაშინ როდესაც ზემოთ დასახელებულ სახელებს საშინაო, მოფერებითი ფორმები არ უკეთდება. სასაუბრო შეტყვევებამ ერთგვარი კომპენსაცია მოახდინა იმ მხრივ, რომ მოფერებით ფორმად სწორედ ი-ნიანი ფორმები (ე. ი. სახელობითი ბრუნვის ი ფუძეს რომაა შეზრდილი, ის ფორმები) გამოიყენა. მართლაც, გურამი, ოთარი და მისთ. ფორმები მიმართვისას დღევანდელ ქართულში მოფერებითის შინაარსის შემცველია ყოველთვის.

საკმარისია ზემოთ დასახელებულ სახელთაგან რომელიმეს სწორი მოფერებითი ფორმა გაუკეთდეს, რომ მცდარი ფორმა უშუალოდ ქრება. მაგალითად, ვინც რომელიმე ოთარს ან ზურაბს ოთარიკოს ან ზურიკოს დაუძახებს, მას ეძნელება დაუძახოს: ოთარი! ზურაბი!



ესეც კია, რომ ქართულად წესიერად ნაწარმოები მოფერებიანი სახელების დაძახება შვილისათვის დღეს ბევრ მშობელს ძალიან ეზამუშება და ერთგვარად დამამცირებლადაც კი მიაჩნია. ეს მაშინ, როდესაც აქამდე მართლა კინობითის ფორმაც კი არ ითვლებოდა დამამცირებლად, თუ იგი გარკვეული ემოციური ელფერი იქნებოდა გამოყენებული. ვის არ ახსოვს რაფ. ერისთავის ლექსი: „დავჯდებოდი მე ციგაზე და ზედ მიჭდა გოგიელა, გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა!“ იროდიონ ევლოშვილს აქვს ორი შესანიშნავი საბავშვო მოთბრობა. ერთის სათაურია: „თამრიკელას წერილი ბებიას ჩურჩხელებთან“, ხოლო მეორისა — „ბასუხი ქალბატონ თამრიკელას“.

შიო მღვიმელის ერთ-ერთ ლექსს ასეთი მიძღვნა ჰქონდა დართული: „ჩვენს გოგონას ცუგრუმელას, რომ უცინის ტკბილად ყველას, ცქრიალას და წიწვანატელას — ბარათაშვილს მარიკელას“.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღნიშნულ მცდარ ფორმათა აღკვეთის ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენს გავრცელება ისეთი სახელებისა, რომელთაც საშინაო, საბავშვო, მოფერებითი ვარიანტები აქვთ, და კატეგორიულად აღკვეთა ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად შემოღებული სახელებისა.

უსათუოდ ხელს უწყობს აღნიშნული მცდარი ფორმების გავრცელებას ზოგი დიალექტის, კერძოდ ქვემოიმერულის, განსაკუთრებით — სამტრედია-ვანის სექტორის მეტყველების გავლენა. ის ფაქტი, რომ ამ მეტყველებაში თანხმოვანფუძიან მსაზღვრელ სახელს ყველა ბრუნვაში შეეზარდა სახელობითის -ი და განსაკუთრებით ის, რომ გვარის წინ დასმული თანხმოვანფუძიანი სახელი ყოველთვის სახელობითშია, იმის მიუხედავად, რომელ ბრუნვაშიც უნდა იყოს გვარი, ხელის შემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა **ოთარიმ**, **ნუგზარიმ** და მისთ. ფორმათა გავრცელებისათვის.

თანხმოვანფუძიან ადამიანთა სახელებში მცდარი ფორმების გავრცელების ერთ-ერთ საფუძველთაგანი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტიც.

ცნობილია, რომ წოდებითის **ო**, რომელიც ამჟამად იმნაირადვე დაერთვის ფუძეს, როგორც სხვა ბრუნვათა ფორმანტები, წარმოშობით შორისდებულია. მიმართვისას (დაძახებისას) ეს შორისდებული დაერთოდა სახელს. შეიძლება დაართოდა თავ-

ში ან ბოლოში, — უმეტესად, როგორც ჩანს, ბოლოში. კილოებში ხმის ამადლება მიმართვისას ამ **თ** ხმოვანზე მოდიოდა და მოდის, ხოლო, თუ **თ** არ გვაქვს, მაშინ — სიტყვის ბოლოკიდურ სხვა ხმოვანზე. ბუნებრივია, რომ ეს ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის. მიმართვის ფორმის კილოურ წარმოთქმას დღეს მკვეთრად უპირისპიდება ლიტერატურული წარმოთქმა მიმართვის ფორმისა, ლიტერატურულ წარმოთქმაში კი ხმის ამადლება სიტყვის დასაწყისშია. კილოური წარმოთქმა სალიტერატურო ენაშიც იჭრება. ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს ეს წარმოთქმა ადვილად ეგუება (ბოლოში ხმოვანი ბგერა აქვთ და ამიტომ), თანხმოვანფუძიანებს კი — ვერა. ამის გამო თანხმოვანფუძიანი სახელები ავლენენ ტენდენციას, ბოლოკიდურად ხმოვანი გაიჩინონ და ზემოთ დასახელებული სხვა ფაქტორების თანამოქმედებით სწორედ **ი** ხმოვანი ჩნდება.

**ი**-ს ფუძესთან შეზრდის პროცესი, ცხადია, წოდებითში, მიმართვის ფორმაშია დაწყებული და აქედან გადავიდა ინიანი ფორმები შემდგომ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში.

პირთა სახელების მცდარი ფორმების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია პრესის როლი. მით უფრო დასაინანია, რომ ასეთი მცდარი ფორმები პრესის ფურცლებზედაც გვხვდება.

ქურნალ „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში, მაგალითად, ასეთი ფრაზა გვხვდება: „როგორც გამოირკვა, **ნოდარის ხუმრობით წებო დაუსხამს სკამზე**“ („მნათობი“, №10, 1960).

„**ომარისზე** გული ეწვის მშობელს“. („ახ. კომ.“, 1.IX.1962).

იქვე ვკითხულობთ: „ეს სიტყვები არ დაავიწყდება **ომარის**“.

„წამოსცდა **უშანგი** პაპუაშვილს“. „ის იყო **უშანგი** პაპუაშვილი შინ მივიდა...“ („კომ.“, 3.X.1962).

მაგრამ „კომუნისტი“ კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა 1962 წ. 30.X ნომერში მოათავსა ფეხბურთის მატჩის ანგარიში, რომელშიც ასეთ ფრაზას ვხვდებით:

„...დაახლოებით 18-19 მეტრიდან **მესხიმ** „ცოცხალ კედელში“ მოძებნა ადგილი, საიდანაც შეიძლება **„ქარის აღება“** და ბურთი მეტოქის კარში მოათავსა“.

ცნობილია, რომ ქართულში **გააჩნია** ზმნა მხოლოდ უარყოფით **არ**- ნაწილაკთან შეიძლება ვინმართ. მიუხედავად ამისა,

„ლიტერატურულ გაზეთში“ ასეთ ფრაზას ვხვდებით: „ჩვენც ბევრი რამ გავგაჩნია საამაყო და თავის გამოსაჩენი“ (28.IX.1962).

საკმაოდ ხშირად გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომებიც: ერთად უნდა იწერებოდეს სიტყვა და ცალ-ცალკე, ან დევიზითა დაწერილი.

„ფრანგი ხალხი დიდ ხანს ვერ დაივიწყებს...“ („სოფლ. ცხ.“ №80, 1962).

„ძნელია იმის თქმა, თუ პრაქტიკულად როგორ მოხდება მთელი მსოფლიოს კინო მოდვაწეთა შემოქმედებითი გაერთიანება“ („ახ. კომ.“ 20.IX.1962).

„დატოვა ცოლშვილი“ („კომუნისტი“, 15.IV.1962).

ხოლო მწერლები ასეთ ფორმას გვთავაზობენ: „აბლაგაზრდობის ერთ ნაწილში ფეხი აქვს მოკიდებული შრომისადმი ნიპ-დილისტურ დამოკიდებულებას“ („ლიტ. გაზეთი“, 16.V.1958).

გვხვდება ყოვლად გაუმართლებელი შემოკლებები, რომლებშიც გამოტოვებულია თანდებული: „აშშ გამგზავრების წინ“ („კომ.“, 30.X.1962).

აქა-იქ კიდევ გვხვდება დ-ს ნაცვლად თ ვითარებითი ბრუნვის ფორმებში: „ქართული ჭიდაობა გადაიქცა უაზრო ბღღარძუნათ“ („ლელო“, 4.IX.1962); „მიუხედავთ იმისა, რომ ამერიკელმა ჩვე კრამერმა...“ („ახ. კომ.“ 29.IX.1962).

გაზ. „თბილისი“ ყოვლად გაუმართლებლად წელის ნაცვლად წელიწადს ხმარობს: „მას შემდეგ რამდენიმე წელიწადმა განვლო“ (20.IX.1962); „თუ წელიწადის განმავლობაში საქმე ჭიანჭურდებოდა..., ახლა გაათევეცხლებული იერიშობანაც ვერ უშველით“ (19.IX.1962); „სამეურნეო წელიწადის მე-4 კვარტალი მოახლოვდა“ (იქვე).

იგივე გაზეთი სპეციალურ წერილშიც ასაბუთებდა და ამჟამად პრაქტიკულადაც თვითნებურად ატარებს ნამყო ძირითადში უვინო ფორმებს: „საქართველოს სსრ კრივის ფედერაციამ და საქალაქო კრივის სექციამ წლეულს ჩვენს დელაქალაქში რამდენიმე საინტერესო ასპარეზობა მოაწეს“ (19.IX.1962).

ზოგჯერ სრულიად არ ეწევა ანგარიში ფრაზაში დროთა თანამიმდევრობის დაცვას: „ლუკიანე [თაბუჯაშვილი] ბავშვობიდანვე გასაოცარი გამბედაობით გამოირჩეოდა. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ჯერ

ბორჯომში, შემდეგ ბაქოში. რევოლუციური ტრადიციის მქონე ქალაქმა ოცი წლის ჭაბუკი თავისი ცხოვრების ორომტრიალში ჩააბა. ის აქტიურად **მონაწილეობს** მუშათა წრეების საქმიანობაში, გაფიცვებსა და დემონსტრაციებში... („თბილისი“, 22.IX.1962). გარდა იმისა, რომ ფრაზა სტილის თვალსაზრისით გაუმართავია, დროები ზმნებისა ერთმანეთშია არეული.

ვერაა სახარბიელო მდგომარეობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით გაზ. „ლელოს“ ემჩნევა. იქ ვკითხულობთ: „როგორც ცნობილია, **სამოყვარულო** კრივის საერთაშორისო ასოციაციის გადაწყვეტილებით ჩვენი კონტინენტის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება 1963 წელს მოსკოვში“ (18.IV.1962). „თბილისის“ 22.IX.1962 წლის ნომერში ერთსა და იმავე სტატიაში ერთგან **უსტანდარტო** წერია, მეორეგან — **არასტანდარტული**.

აღრეულია **მისი** და **თავისი** ნაცვალსახელების ხმარების წესი. „თურქეთის წარმომადგენელმა სარპერმა მოუწოდა სობოლევს არ მოითხოვოს დაჟინებით **მისი** რეზოლუციისათვის კენჭისყრა ამჟამად“ („კომ.“ 18.X.1962). „ცალკეა მათი ინდივიდუალური სამყარო, მაგრამ ისინი მთლიანობაში ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც **თავიანთი** საკარმიდამო ეზოები“ („თბილისი“, 24.IX.1962). „ჩვენი ქარხნის კოლექტივი... ცდილობს დაეხმაროს ახალგაზრდა რესპუბლიკას, რათა მან განამტკიცოს **თავის** ეკონომიკა“ („თბილ.“, 14.IX.1962).

შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება არქაული **რათა** კავშირით რომის ნაცვლად. ერთი ნიმუში ამისა ზემოთ, უკანასკნელ ფრაზაშია წარმოდგენილი. აი, სხვა მაგალითებიც: „ყოველ ღონეს იზმარს, **რათა** ხელი შეუწყოს მშვიდობის ძალების წარმატებას“ („კომ.“ 2.X.1962); „...რათა განგრძობილ იქნეს მოლაპარაკება აგრეთვე მიწისქვეშა ატომური გამოცდების შეწყვეტის შესახებ“ („კომ.“ 2.X.1962).

უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში, უმართებულო ფორმები **პასუხობს**, **კარნახობს** მართებული და ტრადიციის მქონე **უპასუხებს** და **უკარნახებს** ფორმათა ნაცვლად. განსაკუთრებით პირველი ზმნა იხმარება მეტად ხშირად და პირთა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით. აი, რამდენიმე მაგალითი:

„...ჩვენი კინოსტუდიების ძალიან მცირე პროდუქცია **პასუხობს** ამ მაღალ მოთხოვნილებებს“ (> მოთხოვნებს!) („ლიტ. გაზ.“ 28.IX.1962).

„აქამდე მის ბოროტებას ბოროტებით **პასუხობდნენ**“ („ცისკარი“, 1961, №2).

„ფილმი მაყურებელთა წინაშე აყენებს მრავალ გარდაუვალ კითხვას და ზოგჯერ ამომწურავად **პასუხობს** თვითონვე, ხოლო ზოგჯერ მხოლოდ ღრმად ჩააფიქრებს კაცს“ („ცისკარი“, №4, 1962).

ეს ფორმები კანონზომიერი შედეგია ძველი ქართულიდან ახალზე გადმოსვლისას მომხდარი იმ ცვლილებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზმნის ასპექტის გამოხატვის მხრივ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველად მიუღებელია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვნაირი ფორმების გვერდით (ე. ი. ისეთი ფორმების გვერდით, რომელსაც ქცევისა თუ მსგავსი პრეფიქსები აქვს) უკვე ძველთაგანვე გვქონდა უხმოვნო (უპრეფიქსო), მაგრამ პირის პრეფიქსებიანი (ჰ-ს) ფორმები, ხოლო ჰ-ს დაკარგული ფორმები პასუხობს — ტიპისა ჯერ კიდევ თეიმურაზ პირველის ნაწერებში გვხვდება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმათა დარღვევის თვალსაზრისით არამცირედ ხვედრითი წონა ისეთი შემთხვევებისა, ისეთი შეცდომებისა, რომლებიც ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოსვლისას პრევერბების გამარტივების საფუძველზე და პრევერბისეული ელემენტების ფუძისეულად გაგების შედეგად მივიღეთ. იგულისხმება შეცდომები **ანთავისუფლებს, ვადფრთოვანებ, ანხორციელებს** ტიპისა, რაც ორ ზმნაში (**ვადორძინებ** და **ვადიარებ**) უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა, ნორმად იქცა და მართებული ფორმები შეცვალა საყოველთაოდ გავრცელებისა და გაბატონების გამო. ჩვენს პრესაში ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია და ზოგჯერ მცდარი და ჯიუტი დაყენების შედეგად მართებულ ფორმებადაც კია მიჩნეული ზოგიერთი პირის მიერ.

„...**უფიქრობთ, ქეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილად გვადფრთოვანებს და გვადელევენს, ყოველ მეტნაკლებად განათლებულ ადამიანს შეუძლია მსჯელობა**“ („თბილ.“, 13.3.1958).

„შეგრძნება იმისა... **მალფრთოვანებლა**“ („თბილისი“, 9. VII.1958).

„ამ ფილმში მსახიობი **ანსახიერებს** ემიგრანტ ანტუან ეს-პერანტიოს და ქურდების მეფის როლებს“ („ცისკარი“, 1962, №2, გვ. 159).

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია... **ანვითარებს** ძმურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან“ („ცისკარი“, 1962, №3, 114).

ამ უკანასკნელ მაგალითში ამ ზმნასაც რომ თავი დავანებოთ, უბეში სტილებრივი შეცდომა გვაქვს: **ანვითარებს კავშირს**.

„ზეთის **მშთანთქავი** დანადგარი“ („თბილ.“, 8. X.1958).

შეიმჩნევა გატაცება ე. წ. აღწერილობითი ვნებითის ფორმებით, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლება ამ ფორმების შეცვლა ორგანული წარმოების ვნებითით. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, თუ აღწერილობითი ვნებითი იქნება გამოყენებული, სახელის (ჩვეულებრივ მიმღეობის) ფორმა სახელობითი ბრუნვისა კი არ უნდა იყოს, არამედ ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი. ჩვეულებრივ, გაზეთებში კი მიმღეობა სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

„მან მაშინვე აღიარა, რომ საწყობი **გატეხილ იქნა** ღამის დარაჯის... **დაბზარებით**“ („კომ.“, 3. X.1962). ამ მაგალითში ვნებითის ფორმა საერთოდ არ იყო საჭირო, აქტიური ფორმა იყო აუცილებელი: **გატეხეს**.

„ამ ამოცანას **სხვანაირად უნდა მივუდგეთ** და პირველ პლანზე წამოვიწიოთ არა ის, რაც **განხორციელებულ უნდა იქნას** მდიდარი კლასების მიმართ“ („კომ.“, 2. X.1962). უნდა: **განხორციელდეს!**

„აქ **მივგებული იქნა 100 მ. სიგრძისა და 40 მ. სიგანის** სამარხი“ („ცისკარი“, 1962, №3, 159). უნდა: **მიაგნეს... სამარხს**:

„პოემა **შესრულებული იქნა** პრაღის რადიოს სიმფონიური ორკესტრის მიერ“ („ცისკარი“, 1962, №2, 159). უნდა: **შეასრულა ორკესტრმა...**

შეიმჩნევა, რომ ზოგი გაზეთი, მაგალითად, „ახალგაზრდა კომუნისტი“ შეგნებულად არ ხმარობს ჰ/ს პრეფიქსებს. ანალოგიური შემთხვევები „კომუნისტშიაც“ შეიმჩნევა. სამაგიეროდ, არის

გაბატონებული გაუმართლებელი და ყალბი შეხედულება, თითქოს უნდა ვერიდებოდეთ ე. წ. ომოფორმებს და ამ მიზნით ჰრეფიქსი იხმარება ისეთ შემთხვევაში, სადაც მას არავითარი მორფოლოგიური დანიშნულება და გამართლება არა აქვს.

„ორი ცენტრალური შემოქმედი და თანამშრომელი ყავდა „ზეზდასა“ და „ბრავდას“ (კომ., 4.IV.1962).

„გორის ბამბულის კომბინატს „საკუთარი დელეგატი“ ყავს ყრილობაზე“ („ახ. კომ., 14.IV.1962).

„ბავშვის დედას ყველგან იმ არარსებულ, აწ გაუქმებულად ცნობილ დოკუმენტს თხოვენ“ („კომ., 28.IX.1962).

„ჭყავის ინსტიტუტის ბაღი“ („თბილ., 23.IV.1958).

შეცდომათა დიდი რაოდენობა მოდის წინადადებათწყობაზე, კერძოდ, რთული თანწყობილი (პარატაქსული) და რთული ქვეწყობილი (ჰიპოტაქსური) წინადადებების გამოყენებაზე. ცნობილია, რომ პარატაქსული წინადადების შემადგენელ წინადადებათა შორის უნდა არსებობდეს რაიმე შინაარსობრივ-აზრობრივი დამოკიდებულება, უამისოდ ყოველი ნებისმიერი წინადადების შეკავშირება უაზრობას მოგვცემს. ეს ელემენტარული მოთხოვნა ხშირად დარღვეულია; დარღვეულია აგრეთვე შეკავშირების ფორმები.

„ნეტუიანიკმა“ ანგარიშის შენარჩუნების მიზნით დაცვაში ძალები გადაისროლა, იგი არ ერიდებოდა დროს გაყვანასაც კი“ („ლელო“, 25.IX.1962).

„უნივერსიტეტის საბელწოდებას თავისებური ისტორია აქვს და რამდენადმე სიმბოლურია“ („ცისკარი“, 1962, №2, გვ. 159).

უფრო თვალში საცემია დარღვევები ჰიპოტაქსური წინადადებების აგებისას.

„მოგება შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ბ. კობალეიშვილის მიერ კარისაკენ ათჯერ გაგზავნილი ბურთი ზედიზედ ძელს რომ არ მოხვედროდა“ („ლელო“, 18.IV.1962).

„ეს „ლილე“ იყო მრავალთა შერწყმული, შეკრული და შეწყობილი სიმღერა, რომელიც დღესაც ჩამესმის ყურში და უდიდეს სიამოვნებას მგვრის, მაგონებს იმ ლამის უბადლო და დაუფიქრარ სიმფონიას, რომელსაც თვით გოლიათი ზალბი ასრულებდა ბუმბერაზი მთების ღირიფორობით“ („კომ., 30.X.1962).

ამ მაგალითში იმ ნაცვალსახელის უადგილოდ გამოყენებამ

კორელატ სიტყვად შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ხალხი ასრულებდა **შთებ**.

დარღვევების დიდი წილი მოდის შემასმენლის ქვემდებარესთან და საერთოდ მასთან პირის მიხედვით დაკავშირებულ სახელებთან რიცხვში შეთანხმებაზე. არ ეწევა ანგარიში ელემენტარულ წესებს, მაგალითად, იმას, რომ რიცხვითი სახელით განსაზღვრულ სახელთან ზმნის მრავლობითში დასმა არ შეიძლება; ასევე არ შეიძლება შემასმენელი აზრობრივად შეუთანხმდეს **ზოგიერთი, ბევრი, მრავალი** და მისთ. სიტყვებით განსაზღვრულ მხოლოდობით რიცხვში დასმულ ქვემდებარეს და ა. შ.

„სპარტაკიადის გახსნაზე **თავი მოიყარეს ქარხანა „ცენტროლიტის“**, დაფსახვევი ფაბრიკის... და სხვა წარმოება — დაწესებულებათა **600-მდე სპორტსმენმა** („ლელო“, 18.IX.1962).

„ზოგიერთი **პედაგოგი** და კლასის **ხელმძღვანელი** ჯერ კიდევ მთელი შესაძლებლობითა და მონდომებით არ მუშაობენ“ („სახ. გან.“, №39, 1962).

„ზოგიერთი ადამიანი ცდილობს დაფაროს თავისი სირვენე, **ზოგს** კი პირიქით — სააშკარაოზე **გამოაქვთ**“ („ახ. კომ.“, 22.IX.1962).

„ყველა ისინი, რომლებიც **ფეხარეული მიჰყვება ფაბრიკის მრავალრიცხოვან კოლექტივს**“ („ახ. კომ.“, 11.IX.1962).

„საქმეში გამოჩენა კი თავიდანვე **მოსდევდათ მათ**“ („თბილ.“, 19.IX.1962).

„ასეთ **„მოღვაწეობას“** სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ **სკოლამ, საზოგადოებამ, მშობლებმა, ყველამ**“ („თბილ.“, 20.IX.1962).

მაგრამ შეიძლებოდა ადვილად მოვლემოდა ყველა ორთოგრაფიულ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ შეცდომებს. გაცილებით რთული მდგომარეობა გვაქვს სტილისტიკური შეცდომების მხრივ და მათი აღკვეთა არცთუ ადვილი საქმეა, რამდენადაც აქ ვაწყდებით მთავარ საკითხს — რომ იმას, ვინც წერს, უნდა ჰქონდეს ფართო განათლება, ცოდნა, უნდა იყოს ნაკითხი, კარგად უნდა იცნობდეს ლექსიკას და ა. შ.

ზნირია გაზეთების ენაში ტავტოლოგიები. ავტორები კი ამის გამო სრულიად არ გრძნობენ უხერხულობას. პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ტავტოლოგია ერთგვარ სტილის-



ტიკურ ხერხადაც კი მიაჩნიათ. ტავტოლოგია მართლაც შეიძლება სტილისტიკურ ხერხად იქნეს გამოყენებული, მაგრამ სად და როდის? ამაზე პასუხს კი არავენ იძლევა.

„ეგროვი პასიური ბრძოლისათვის მოიხსნა ბრძოლიდან“ („ლელო“, 4.IX.1962).

„სწორი აზრია მოყვანილი ზემომოყვანილ სიტყვებში“ („სახ. განათ.“, №14, 1962).

„ამბროლაურის საბავშვო ბაღის გამგე ფ. შერაზადაშვილი, 14 წელია, რაც საბავშვო ბაღს სათავეში უდგას“ („სახ. განათ.“, №37, 1962).

„ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში კრივის აღორძინების პროგრესი იწყება“ („თბილ.“, 19.IX.1962).

„ყოველი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საწარმოს ეზო ბოთლით საგზე ყუთებით ივსება“ („თბილ.“, 27.IX.1962). ტავტოლოგიას რომ თავი დაეანებოთ, „ბოთლით საგზე“?!

სრულიად არადაამაკმაყოფილებელია სიტყვათწყობის მდგომარეობა წინადადებაში. ხშირად ელემენტარული ნორმების დარღვევა სამწუხარო გაუგებრობებს იწვევს. ბევრ შემთხვევაში არაა გათვალისწინებული ის მარტივი ფაქტი, რომ რომელიმე სიტყვის წინ გადმოსმა მასზე ლოგიკური მახვილის დასმას ნიშნავს და შედეგად ვიღებთ აგრეთვე გაუგებრობას. ხშირად გამოთქმებში შემავალი კომპონენტებია ერთმანეთს დაცილებული ან კიდევ ორი სიტყვა არის გამოთქმად უმართებულოდ დაკავშირებული ერთმანეთთან და ა. შ.

„სახერის საყრდენ-საჩვენებელ მევენახეობის მეურნეობაში“ („ახ.კომ.“, 25.IX.1962). აქ მცდარად გამოთქმად, განუყოფელ ფრაზეოლოგიურ ერთეულადაა მიჩნეული მევენახეობის მეურნეობა, ამის გამო მისი მსაზღვრელი სიტყვა (საყრდენ-საჩვენებელი) წინაა გადმოსმული და შედეგად კი უაზრობას ვიღებთ: გამოდის, რომ საყრდენ-საჩვენებელი არის მეურნეობა კი არა, არამედ მევენახეობა.

„ამ და მთელ რიგ მტკივნეულ სხვა საკითხებზე ილაპარაკეს“ („ახ.კომ.“, 25.IX.1962).

„ღისკუსიის მონაწილეებმა გადაჭრით ხაზი გაუსვეს“ („თბილისი“, 19.IX.1962). (ერთმანეთსაა დაშორებული ზმნა და ზმნისართი, რაც უხერხულობას იწვევს).

„[მაიდანეკი] ცოცხალი მოწმეა იყოს იმისა, თუ როგორ შეიძლება ცივილიზაციის უდიდესი მიღწევების ადამიანის წინააღმდეგ გამოყენება („თბილ.“, 22.IX.1962). უნდა: მიღწევების გამოყენება ადამიანის წინააღმდეგ.

გაზ. „თბილისის“ 27.IX.1962 წ. ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომლის სათაურია: „დედაქალაქისაკენ გაზი მოიწევს“. სავსებით ცხადია, რომ აჯობებდა: „გაზი მოიწევს დედაქალაქისაკენ“. დარღვეულია ლოგიკური მახვილის საკითხი: „გაზი მოიწევს“ ეს იმას ნიშნავს, რომ გაზი მოიწევს და არა სხვა რამ.

„ბშირად იბეჭდებოდა ნ. ზავლადას სტატიები, კორესპონდენტები ჯერ კიდევ სამამულო ომამდე უკრაინის ჟურნალ-გაზეთებში“ („კომ.“, 3.XI.1962).

„ბარსტატიშმა რამდენადმე უარეს მდგომარეობაში ლომიას წინააღმდეგ ვერ მოახერხა დაწესებულ დროში 40 სვლის გაკეთება და დამარცხდა“ („კომ.“, 18.IX.1962).

„აქ პროფესიული გუნდი არ ყოფილა, არც იმ გუნდს რომელიმე ცნობილი ლოტბარი ედგა სათავეში“ („კომ.“, 30.X.1962).

„მხოლოდ ბოლო წუთებში კიშინიოველებმა ორჯერ მიიტანეს იერიში დინამოელთა კარზე, მაგრამ ორივეჯერ იხსნა კარი კოტრიკაძემ“ („კომ.“, 30.X.1962).

ყველაზე რთული მდგომარეობა მიანიც გამოთქმათა გამოყენებისა და სიტყვათა შინაარსობრივი შეხამების მხრივ გვაქვს. ბუნებრივ ქართულ გამოთქმებს ცვლის უხეირო გამოთქმების კიდევ უფრო უხეირო თარგმანები, ჩვენი პრესა კი აჭრელებულია ასეთი ფორმებით. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

„ამჟამად შენდება 3 და დამთავრების პროცესშია 2 საცხოვრებელი სახლი“ („კომ.“, 13.III.1956).

„ამ ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გაციებისადმი ვაფრთხილება, ...სიმძიმეების აწვევისა და სიმალლიდან ჩამოხტომისადმი მორიდება“ („სოფლ. ცხ.“, №71, 1962).

„ამ დღეებში... საქმე ძიებით დაამთავრეს“ („სოფლ. ცხ.“, №74, 1962).

„ზოგიერთმა სერიოზული დამწვრობა მიიღო“ („თბილ.“, 5.VI.1959).

„სამტრესტის თბილისის საწარმოო კომბინატი აწარმოებს წუნდებული 0,5 ლიტრიანი ბოთლების გაყიდვას“ („თბილ.“, 8.X.1958).

„ტურისტები... მოაწყობენ ავტობუსით გასეირნებას ქალაქგარეთ“ („თბილ.“, 24.IV.1958).

„სუქებაზე დაყენებულია 80 ღორი“ („კომ.“, 12.XII.1956).

„სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მელორეობის ფერმაში გასასუქებლად დააყენეს 70 სული ღორი“ („კომ.“, 26.V.1957).

„ამჟამად გასასუქებლად დაყენებული ჰყავთ 120 სული ერთჯერადი დედაღორი“ („კომ.“, 22.XII.1956).

„წელს გასასუქებლად დაყენებული 320 სული ღორისაგან მიიღებენ სულ ცოტა 80 ტონა ხორცს“ („კომ.“, 26.7.1957).

„სწორად მოაწყეს მიღებული მოზარდეულის გასუქება“ („კომ.“, 22.I.1958).

„უკეთ მოვაწყოთ ღორების გასუქება“ („კომ.“, 4.IV.1956).

„პროზაიკოსთა ოჯახს ამას წინათ ახალი შეგება შეემატა“ („კომ.“, 17.III.1958).

„მიმდინარეობს ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა“ („კომ.“, 31.I.1958).

„საჭიროა... გეწოდეთ... მუშაობის მოწინავე მეთოდების ათვისებას“ („კომ.“, 12.II.1958).

„გასულ წელს ჩატარდა პარტიული აპარატის მუშაობის გარდაქმნა“ („კომ.“, 28.I.1958).

„მოვაწყოთ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება“ („კომ.“, 18.I.1957).

„მიმდინარეობს ყვავილების რგვა“ („კომ.“, 6.V.1958).

„ესებუამ მეოთხე წრეში დამარცხება განიცადა“ („ლელო“, 5.IX.1962).

„მექანიკური საამქროს უფროსმა ბ. შალიბაშვილმა ივალდებულა და ...იმდენს მიაღწია... რომ პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა“ („ლელო“, 25.IX.1962).

„მატჩი აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით“ („ლელო“, 26.IX.1962).

„ე. ბენიძემ ჩავარდნა განიცადა ორძელზე“ („ლელო“, 17.IV.1962).

„ჩვენს დღეებში ამ სიტუეტმა შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა“ („ცისკარი“, 1962, №2).

„უკანასკნელ დროს პარიზის ეკრანებზე მიდიოდა სრულ-მეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გეტოს დრო“ („ცისკარი“, 1962, №2).

„ჰემინგუეი ამ რამდენიმე წლის უკან დაწვრილებით სწერდა ცოლსა და მეგობრებს“ („ცისკარი“, №3, 1962).

„დიდი ომი“ ორი წლის უკან ვენეციის ფესტივალზე იქნა პრემირებული“ („ცისკარი“, №2, 1962).

„მასწავლებელ ია შარაძენიძეს წესრიგზე მოჰყავს ფიზიკის კაბინეტი“ („საბ. განათ.“, 1.IX.1962).

„ყოველდღიურად საბჭოთა სავაჭრო ხომალდები ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების სახიფათო შემოფრენას განიცდიან“ („თბილ.“, 22.IX.1962).

„ყოველდღიურად გაყიდვაში“ („თბილ.“, 24.IV.1962).

„ბოთლი... თერმულ დამუშავებას განიცდის“ („თბილ.“, 27.IX.1962).

„კერამიკოსი გ. ქართველიშვილი კონსულტაციას აღწევს... სტუდენტს ა. ბასილაშვილს“ („საბ. კომ.“, 15.V.1958).

„უკანასკნელი ათი დღის მანძილზე“ („კომ.“, 3.X.1962).

„თამაშის მანძილზე“, „ათი დღის მანძილზე“, „90 წუთის მანძილზე“...

„ხორციელდება სამუშაოები კომპლექსური ავტომატიზაციისათვის“ („კომ.“, 3.XI.1962).

„ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები დიდ მუშაობას ახორციელებენ...“ („კომ.“ 3.IX.1962).

„ამის საწინააღმდეგოდ მსოფლიო ჩემპიონმა ლაზიერების გაცვლა განახორციელა“ („კომ.“ 3.X.1962).

„სალამოს დასასრულს გაიმართა კინოფილმების გახიზვა“ („კომ.“, 28.IX.1962).

„მოჭადრაკეთა ტრადიციულ ტურნირზე გაიმართა გადაღებული პარტიების დამთავრება“ („კომ.“, 18.IX.1962).

„მე ძალიან მიზარია, რომ ამჟამად აქ ვარ, თბილისში, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უყვარდა ალექსი მაქსიმეს ძეს“ („კომ.“, 26.IX.62).

თავი რომ დავანებოთ ისეთ მაგალითებს, როგორცაა „ორი წლის უკან“ და მისთ., რომლებიც კილოური წარმოშობისაა, „გაციებისადმი გაფრთხილება“, „საქმის ძიებით დამთავრება“,

„წარმოებს გაყიდვას“, „მოაწყობენ გასეირნებას“, „მოაწყვეს გასუქება“, „ვეწეოდეთ ათვისებას“, „ჩატარდა გარდაქმნა“, „სუქებაზე დაყენებულია“, „მოვაწყეთ ხელშეკრულებათა დადება“, „დამარცხება განიცადა“, „მიმდინარეობს რგვა“, „ჩვენს დღეებში“, „უკანასკნელ დროს“, „შემოფრენას განიცდიან“, „დამუშავებას განიცდის“, „გაყიდვაშია“, „კონსულტაციას აძლევს“, „90 წუთის მანძილზე“, „გამართა გასინჯვა“ და მისთ. გამოთქმები შესაბამისი რუსული, აგრეთვე ყოველთვის არამართებული, გამოთქმების უხეირო თარგმანს წარმოადგენს. კალკი ენაში აუცილებელია, კალკს ვერც ერთი ენა ვერ დააღწევს თავს, მაგრამ კალკი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი გამოთქმა ენაში არა გვაქვს. რა აუცილებელია ვწეროთ „გაყიდვაშია“ „იყიდებას“ ნაცვლად, ან კიდევ რას ნიშნავს „ღორების გასასუქებლად (ან კიდევ უარესი — სუქებაზე) დაყენება“? ვინ უნდა ებრძოდეს ასეთ ფორმებს, თუ არა რესპუბლიკური გაზეთები, რომლებიც ამ მხრივ მაგალითს უნდა აძლევდნენ რაიონის გაზეთებს.

კიდევ უარესი მდგომარეობაა სიტყვათა შეხამების მხრივ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ე. ი. შესიტყვების შინაარსის თვალსაზრისით, რაც სტილისტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, შესწავლის ობიექტს შეადგენს. გვხვდება ასეთი ყოვლად უცნაური შეხამება: „ამ შემოდგომაზე ცხვარი ავტომანქანებით უნდა გადავრეკოთ“ („კომ.“, 2.X.1958). „ავტომანქანით ცხვრის გადაყვანა“ შეიძლება, მაგრამ ტრადიციული „გადარეკვა“ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აქაც შემოიჭრა.

სხვა მაგალითები:

„სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ახალმშენებლობათა გაქანებული ტემბი“ („კომ.“, 20.IX.1958).

„16-17 საათის განმავლობაში ვეწეოდით აუტანელ შრომას და ტანჯვას“ („კომ.“, 6.III.1958).

„ღრმად გვადელვებს შეხვედრა ქართველ კოლეგებთან“ („კომ.“, 23.3.1958).

„ღრმად განუმარტავენ მშრომელებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პერსპექტივებს“ („კომ.“, 27.I.1958).

„ფავორიტები კანონზომიერული სიბეჯითით მიიწვევენ ფინალისაკენ“ („ლელო“, 5.IX.1962).

„ლიდერს მჭიდროდ მიჰყვება ესტონელი როოტსი“ („ლე-

ლო“, 5.IX.1962).

„და უეცრად ძრავამ ხმა ამოიღო, დაიფრუტუნა და მზიარულად აძივიძივდა“ („ახ. კომ.“, 22.IX.1962).

„[გოგონას] მუღამ მზიარული, სანდომიანი სახე აქვს“ („თბილ.“, 20.X.1962).

„ყამირელთა ლაშქრობას არაერთხელ აუძგვრებია მიხეილის წადილი, მაგრამ ადრე ვული არ ერჩოდა“ („თბილ.“, 22.IX.1962).

„მკითხველთა მასობრივად მოზიდვის მიზნით საზოგადოებამ მიაღწია თავის გამოცემათა დაბალ დირებულეობას“ („კომ.“, 28.XI.62).

თუ როგორ მდგომარეობაშია ზოგჯერ სტილის საკითხები, მოვიყვანთ თითო-ოროლა მაგალითს:

„ამ დროიდან მოკიდებული ჭადრაკი მტკიცედ გაბატონდა მის ინტერესებზე“ („ახ. კომ.“, 11.9.1962).

„ლოზუნგები მოუწოდებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ღირსეულ შეხვედრისაკენ“ („თბილისი“, 27.9.1962).

„მან მოიხმო მოსწავლეები და შეუდგნენ ხანძრის ჩაქრობას“ („კომ.“, 30.X.1962).

„ჩვენს ქალაქებში ასფალტისა და ბენზინის სუნი, რაც თითქოს ესოდენ ჩვეულებრივია ქალაქის მცხოვრებთათვის, წლითიწლობით უკან იხვევს ორანჟერეებისა და მდელოების არომატის წინაშე“ („კომ.“, 25.X.1962).

„ასეთი ადამიანი... განავრძობს სიცოცხლეს არა მხოლოდ შთამომავლობის... მაღლიერ ხსოვნაში, არამედ ცხოვრების იმ პროგრესულ გარდაქმნაში, რისთვისაც ის მოუწოდებდა, რისთვისაც იბრძოდა და რასაც შთამომავლობამ მიაღწია და მიაღწევს“ („სახ. გან.“, №15, 1962).

„კომუნისტურ პარტიებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ განთავისუფლებული სახელმწიფოების მუშათა მოძრაობასთან თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში“ („ცისკარი“, 1962, №3).

ჩვენი რესპუბლიკური გაზეთების ენის ანალიზი სრულიად გარკვეულად გვიჩვენებს, რომ პრესის ენაში განსაკუთრებით მოიკოჭლებს ის მხარე, რომელსაც შესიტყვების მნიშვნელობა, შინაარსი, სინტაქსის შინაარსი ეწოდება. ეგვე დასკვნა ვრცელდება აგრეთვე მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზედაც. ყველაფერი ეს მთელი სიმკვეთრით აყენებს ქართული ენის ნორმატიული ფრაზეოლოგიურ-სტილისტიკური ლექსიკონის შექმნის აუცილებლობას.

---

\* ასეთი ლექსიკონი მასალების სახით გამოქვეყნდა ამავე კრებულის მეშვიდე წიგნში (რედ.).